

რაზო ეხელიანი ადამია

უკანუნუ განვითარეთ –

სისხლიდან უჩემდი

გამომცემლობა ინტელექტუ
თაღილისი

მხატვარი
რაზო ებელიანე აღამია

ISBN 978-9941-9015-7-7

© გამომცემლობა ინტელექტუ, 2008
© რეზო ემელიანე ადამია, 2008

ცინათქმა

ტერენტი გრანელის ღრმა, უკიდურესი სევდითა და მელანქოლიური განწყობით აღძეჭდილმა ლექსებმა იმთავითვე გაიკვ-ალა გზა პოეზიის მოყვარულთა გულები-საკენ. ტანჯული პოეტის შინაგანი ურ-თულესი ბუნება, სულიერება, გულისთქმა და მზერა სამყაროს მწუხარედ აღიქვამს და სწორედ ამ სიმწუხარეში ცდილობს საკუ-თარი „მეს“ მოპოვებასა და დამკვიდრებას. მისი სულიერი არსება საოცარ სიახლოვეს ამჟღავნებს ასევე ცხოვრებისაგან გატან-ჯულ ნიკო ფიროსმანაშვილთან, რომელსაც ტრაგიკული განცდებით აღსავსე ლექსი მი-უძღვნა. იქნებ, ეს გახდა შთამაგონებელი წყარო ჩვენი თანამედროვეობის აღიარებული ფერმწერის რეზო ადამიას ესსეებისა, ტერენტი გრანელის პოეზიის სიყვარულით რომ არის გამთბარი და გასხივოსნებული.

ხელოვანის სულიერი თვალი და მსო-ფლხედვა თავისებურად აღიქვამს მეორე ხელოვანის მემკვიდრეობას, ვფიქრობ, მათი შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა და მრავლისმთქმელი, რადგან ორ მონათესავე

სულს შორის დიალოგი ეფუძნება სამყაროს ორიგინალურ აღქმას, მსოფლმხედველობას, ღრმა ფსიქოლოგიზმს, რომელთა ახსნა ლოგიკური მსჯელობით შეუძლებელია ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან რთული. მათი სულიერი ნათესაობის გამოვლინება ხშირ შემთხვევაში ინტუიტიურია, ოღონდ სულიერი ჭვრეტის შედეგად მიღებული. ამიტომ რეზო ადამიას თვალით დანახული ტერენტი გრანელი და მისი სევდიანი პოეზია თვით პოეტის ზეყოფიერების სიმაღლეებისაკენ სწრაფვით, ღმერთთან შერწყმის სურვილით, ზოგჯერ სიცოცხლის წყურვილითაც წარმოჩნდება და მისი საოცრად ტევადი, მრავლისგანმცდელი სული ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ განწყობათა ნიჭიერად გადმოცემით მწუხარებით შთაგონებული პოეტის სავიზიტო ბარათად გვევლინება.

ტერენტი გრანელი, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე მისი პოეზიით დაინტერესებული მკითხველები, სამართლიანი იქნება, თუ მათ რიცხვს ლიტერატორთაც მივაკუთვნებთ, სევდის, მწუხარების, ღრმა სუბიექტური განცდების მქონე პოეტად მიიჩნევა,

რომელიც განწირულის სულისკვეთებით იყო შეპყრობილი. ტერენტი გრანელის სახელი იდუმალებითაა აღსავსე, რასაც ხელი შეუწყო სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში მისმა მივიწყებამ, მეტიც, მისი შემოქმედების უგულებელყოფას. საკვირველი კი არის, როგორ შეიძლებოდა „Memento mori“-ისა და სხვა შედევრთა სახელის იგნორირება. მან ხომ თავისი პირადული განცდები ზოგადკაცობრიულ დონემდე აიყვანა და აჩვენა ობოლი სულის მძიმე ტრაგედია, გამოწვეული საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ღრმა უფსკრულით, ადამიანის ცხოვრების ამაოების მძაფრი განცდითა და შეგნებით. პოეტის ამ კოსმიური აღქმის, ბედისნერას დამორჩილებული შემოქმედის მსოფლგანცდის შეცნობის თავის ინდივიდუალურ გააზრებას გვთავაზობს წინამდებარენიგნში მხატვარი რეზო ადამია.

პროფესორი ნესტან სულავა

ირგვლივ სიკვდილის ხელი მეხვია,
რა მექნა, სულო, დაუცხრომელო!
მსურდა სიბნელე რომ გამერღვია,
და კვლავ ქვეყნისთვის თვალი
მომევლო.

შენ ვერ მიხილავ, და ნურც დამეძებ,
სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით.
მე წუხელ მოვკვდი შუალამეზე,
როდესაც კრთოდენ ცის ვარკვლავები...

„ტეროთი გრაველში ზეციური სახე და სულის კოსმიური კულტურა“

მგოსნის მისტიკურ სულში, მძაფრი, უცხო და უცნაური პოეზია იყო ჩაწნული. მას არ შეეძლო ამქვეყნიური მორჩილება და დუმილი. პოეტი თავის წმიდათა წმიდა შემოქმედებას ჯოჯოხეთურ პირობებში ქმნიდა უფრო კატორლულში, ყოვლად უდანაშაულო მგოსანი, გაურკვეველსა და მნარე პატიმრობას განიცდიდა და მაინც, ზემინიერი პოეზიის შედევრები, ქართულ მარადიულობაში ჩაკირა და ჩაადულაბა...

უცნაურია, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე, თითქმის მრავალ რელიგიაზე აღმატებულად მძლავრობენ და მარადიულობენ ხელოვან გენიათა შედევრები. მოგაწვდით სასწაულებრივ ფაქტს: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“. „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები და-ძმებია ჩემი“. ამ კოლხურმა უძველესმა ლექსმა, რომელიც დედამინის საოცრებამ

გადაარჩინა, უამრავ რელიგიათა სახეობანი თუ მიმდინარეობანი, საკვირველია, მაგრამ დააბერა და შორეული წარსულის ისტორიის მიუვალ სარკოფაგებში ჩაკეტა. თავის დროს ამ შედევრის ავტორი ხომ ტერენტი გრანელივით ქმნიდა ვარსკვლავთ შესადარ მისტიკურ ლექსებს. სამწუხაროდ, მისი შემქმნელის ვინაობა ისტორიის მეხსიერებაშიც არ ჩანს და ჩამქრალა სამუდამოდ. ლექსი კი მარადიულობასთან ერთად დარჩა... ეს ნაწარმოები რომელ ათასწლეულებს ეკუთვნის, არ ვიცით და არც იციან... აქედან შეიძლება უდავოდ დასკვნა გამოვიტანოთ, პოეზია და, კერძოდ ხელოვნების მრავალი დარგი, მათ შორის: ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა და არქიტექტურა სამყაროს, გალაქტიკათა და პლანეტების რეალური-მხატვრულ, ზეციურ ფორმათა, ხაზთა და ფერთა ტონალობაა, რომელნიც თავად მარადიულობას წარმოადგენენ. კოსმოსის სიღრმეებიდან, რელიგიის და ხელოვნების სიახლეები კი ყოველთვის ჩაეგზავნება ჩვენს პლანეტას უსასრულოდ და უწყვეტ ნაკადად: როგორც სამყაროა მთლიანი — ერთი სახის,

ასევე ისინიც აგრე გამოიყურებიან, მაგრამ ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებული შინაარსის, სულიერი სიღრმეებისა და ორგანიზმისანი არიან. ხოლო ყოველი სახეობის და მიმართულების შედევრი, როგორც მინი კოსმოსი, უზარმაზარი პლანეტებივით გაუცვეთავი და უბერებელია. ალბათ მრავალი პლანეტაც მოისუსტებს მათ წინაშე. ახლა ვიფიქროთ და მოვიგონოთ ის დრო, დედამიწაზე ადამიანებმა ბორბალი რომ გამოიგონეს. უფრო ბევრად გვიან, საშინელ შორეულში, მილიონბით წლის წინ გამოქვაბულის შედევრი მხატვრობაა, რომელიც პირველყოფილმა გენიამ მოხატა, ეს ისტორიის ლამპარჩამქრალი შედევრები, შორეული დროის სიბნელიდან ჯიუტად მოედინებიან, რომელნიც ყოველგვარ რელიგიაზე და დამწერლობაზე უძველესია. და ისინი გახლავთ არქაული ხელოვნების წინამორბედნი. ალბათ ქვეყნიერების ერთეულთი საოცრებათაგანიც. მარადიულობა ხომ ნებისმიერ ხელოვნების შედევრშია ჩასახული, ასევეა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში, უდიდეს გალაკტიონ ტაბიძეში, ბუმბერაზ რუსთაველში: ძნელია აქ

მსოფლიოს მოკაშვაშე მრავალ გენიათა ჩამოთვლა, ამიტომ თქვენთან ერთად თან-მიმდევრობით ვაგრძელებ ტერენტი გრან-ელზე ფიქრს და მის სულიერ რხევებთან გონებრივ შეხებებს.

ტერენტი გრანელი, თითქოსდა შორეული სამყაროდან ლტოლვილი პოეტი, კოსმიურის, მიწიერის და იმქვეყნიური განცდების შემოქმედებითი სინთეზი გახლდათ ვინ-სენტ ვან გოგივით, ამადეო მოდელიანივით და ნიკო ფიროსმანაშვილივით; ტერენტი გრანელის შემოქმედებითი სული დედამინას შემთხვევით თუ უფლის მეოხებით ჩაქროლებული სრულიად უცხო ფენომენია, რომელმაც ისედაც ტრაგიკული ადამიანის ტანჯულ და გვემულ სხეულში საშინელი ტყვეობა და მნარე ტკივილი განიცადა. ამდაგვარი არგაგონილი ბობოქარი მოვ-ლენების შემდგომ მისი ღრმად სევდიანი და უცხო ჰარმონიად ქცეული გლოვა და კაცური მოთქმა პლანეტათა შორის ირე-ალური ფერებით გაჯერებული დიდ ხე-ლოვნებად დაიბადა, მერმე მგოსნის შენირ-ული და ეული სული უდროოდ განეშორა ხორციელ ტყვეობას და კოსმიური მარა-

დიულობის სივრცეს შეერწყა. ძლიერი და დიდი შემოქმედის მოუსვენარი სულის სა-მყარო, რომელიც ჩაგზავნილი იყო ტერენტის სხეულში, მითიური გმირის, ჰერკულესის კლდესავით უდრეკ სხეულშიც რომ ჩასახულიყო, ეჭვსგარეშეა, მასაც დაიმორჩილებდა და უსაშველო ტყვეობაში მოაქცევდა.

არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა, რომელიც გახლავთ სამყაროს მარადიულობა და უცხო სიცოცხლე, რა-საც ვერ ეკარება, მიწიერი თუ არა მიწიერი შავბორბალა სიკვდილი. მხოლოდ იმ რაღაც უცხოს ძიებაში, აზრთა განცდებში და მის მოლოდინში განდეგილსა და მარტოხელა პოეტს, ამქვეყნიურისაგან ზეჭირად თანამედროვეებისაგან ნიჰილისტურად მიტოვებულს, არ დაჰკლებია გამანადგურებელი მტრობა და შური, განსაკუთრებით წითელმა პოლიტიკოსებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს იადონივით მგალობელი მგოსანი და წამების ეკლიან ბოძს გააკრეს...

სამყარო თავისი ბუმბერაზი პლანეტებიდან დაწყებული, დედამიწის უმცირეს მოლეკულამდე უსასრულო წვას განიცდის, თავად წმიდათა წმიდა სიყვარულიც

ხომ ალმოდებული ხანძარია მისატიური. გლოვა, სევდა და მელანქოლია კი სულის დაუსრულებელი წამებაა სასტიკი. ტერენტი ნებისმიერ ამდაგვარ მდგომარეობას ღრმა სულიერებით, მტკივნეულად შეიგრძნობდა და ბოლომდე განიცდიდა. ხოლო მგოსნის ძლიერი, მძაფრი და მოუსვენარი სულიდან ამოვარდნილი ყოველი ლექსი უძირო მოთქმაა ამქვეყნიური ჟამისფერი სიცოცხლისა.

ქართული, განსაკუთრებით პოეტის მშობლიური კუთხის სამეგრელოს — კოლხეთის სევდიანი და მაღალმხატვრული — ხალხური სიმღერების, სრული შინაგანი ფორმა და ინდივიდუალური სახეა ტერენტი გრანელის პოეზია. ყოველ მის ლექსში, გიტარის დაჭიმული სიმებივით ზუზუნებენ ნერვისმიერი, შინაგანი, მუსიკალური და სასწაულმოქმედი კოსმიური ბერები...

დიდმა პოლანდიელმა ფერმწერმა ვან გოგმა მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა შეალია ნათელი, მსუყე, ამაღლებული განწყობილების, დრამატული, მაგრამ მთის ჰაერივით გამჭირვალე კრისტალურ ფერთა ძიებას და საბოლოოდ მიაღწია

კიდევაც ფერწერაში უახლოესს, ინდივიდუალურსა და მაღალმხატვრულ სასწაულს.

ვან გოგმა, ფერისა და ჭეშმარიტი განწყობილების მეოხებით, ყოველი სურათის კოლორიტისაკენ მოიხმო საოცრება, კოსმიური და ფერადხაზოვანი სული. რაც უფრო და უფრო, მაღლა ასწია სურათის ფერწერული ულერადობა, ფორმის და ცოცხალ ხაზთა დინამიურობა და სიმძაფრე, ის მეტად მიუახლოვდა სამყაროსეულს, კოსმიურსა და ღრმა ადამიანურ სევდას. ასე, რომ მინიერი თუ კოსმიური სევდა ნუ შეგვაკრთობს, ადამიანებო, თავად უდიდესი, სულიერი აღმაფრენის ნებისმიერი სიყვარულიც ხომ სევდის საამო ზეციური ნიავითაა გაჯერებული.

ტერენტის და ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებითი წვა და ღრმა ნაფიქრები სევდის უხილავ ცეცხლზე იწრთობოდა და კიდევაც შექმნეს სრულიად ახალი აზროვნების და ინდივიდუალური სახის, უნიკალური ხელოვნების ნიმუშები.

დაღლილი და სევდის მუქ ფრესკად ქცეული მგოსანი მიჰყვება უცნობი ცხედრის სამგლოვიარო პროცესიას. შემო-

ლამებისას, ახალ მიწამიყრილ საფლავთან დგას... სიკვდილის დანით აკაფული ვარ-დები კი მკვდარ მრავალფერად პეპელა-სავით გართხმულა მუქი ფერის საფლავის მიწაზე...

დიდი ხანია დაღლილი მზე დასავლეთის შორეულში ჩაესვენა და ამქვეყნიურ მძვ-ლად დაგვისვა ლამეული სევდა, რომელიც განმარტებულ პოეტს დღენიადაგ უმძიმეს ტვირთად აწვება. უცხო განცდებისაგან ღონემიხდილი მგოსანი კი დგას გამჭვირ-ვალე ბინდისფერი სვეტივით და ქვითინებს სამყაროს რექვიემად. თმებჩამოყრილი სანთლისფრად ქცეული ტერენტი მდუღა-რე ცრემლსა ღვრის უცნობის საფლავთან. უცნაური და ყოველმხრივ განსხვავებულია მისი გლოვა და წუხილი... უთუოდ, აქაც იმ კოსმიურ მესამეს, რაღაც შეუცნობელს და შორეულს ეძებს გრანელი...

უფალმა კაცობრიობას მხატვრული თუ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა მესაჭედ დიდი ადამიანები მოუვლინა. ტერენტი გრანელიც ამ რჩეულ შემოქმედთა საუკეთესო წარ-მომადგენელთაგანია. გრანელმა, თავისი მგოსნური და ფილოსოფიური წრიული

აზროვნებით — აფეთქებული განცდით და ნაღდი პოეტური ხედვით უახლოეს საუკუნეებს, კოსმიური სიჩქარით გაუსწრო და მომავალი ათასწლეულის, პლანეტათა შორის პოეტად მოგვევლინა.

დიდი მისტიკოსი მგოსანი უფლის ქადაგებასავით უბრალოდ და გასაგებად გვესაუბრა სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე და შორეულ რაღაც სხვაზე...

გენიალური მხატვრის პაბლო პიკასოს ყველა მიმდინარეობის ფერწერული თუ გრაფიკული სურათები უზარმაზარი სევდის მატარებელია, შინაგანად კი წმიდა, ჯანმრთელი და ვაჟკაცური.

ყოველი ნორმალური და ჯანმრთელი ადამიანის წუთიერი სიამოვნების და განცდის დასასრული ძუნწ წამებში თავსდება და მისი საამო ფინალიც ხომ სევდის ბურუსითაა მოცული. ხოლო სამყაროსეული გლობალური მძლავრი და მარადიული სევდა, ყველგან მავალია: ამდაგვარ ამაღლებულ სევდას ტერენტი გრანელი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის დარად ატარებდა. განა შეიძლება ხილვა ხატნერის უკვდავ ნიმუშებში მხიარული მაცხოვრისა

ან მარიამ ღვთისმშობლისა? მათ წმიდა და უსასრულო კოსმიურ თვალთა კეთილ მზერაში, სამყაროსეული, რაღაც ძალიან შორეული და უცხო სევდის ფერადოვანი და ღვთიური, გამჭვირვალე ნისლია განფენილი...

ციურ სხეულებში დედამიწისაგან უკიდურესად განსხვავებული, უცხო რაღაც, სულ სხვა სიცოცხლე არსებობს; ზოგ შემთხვევაში თითქოსდა დაუჯერებელია, ასევე პლანეტები თავიანთ თავს გრძნობენ თუ ხედავენ; ჩვენთვის მიუწვდომელი სირთულეა მათი კოსმიური სიცოცხლის შეგრძნება და მეცნიერული გაშიფვრა, მიახლოებით მაინც იმისა, რაც მათში, ჭეშმარიტად არსებობს. მაგრამ ჩვენეული მცირედი ინტუიციიდან გამომდინარე, იძულებული ვხდებით ზოგადკოსმიურად ვირწმუნოთ. ამდაგვარად რომ არა, ისმება კითხვა, მარტო ადამიანთა და სამყაროს უთვალავ თვალთა ურთიერთ სამზერად ჰკიდია ისინი კუნაპეტ ბნელსა და უსასრულო ციურ სივრცეში? რა თქმა უნდა, არა! ალბათ, ის რაღაც კოსმიური მესამეა მათში, რასაც დღედაღამ ტერენტის აფორიაქებული სული დაეძებდა.

თვითეულ ჩვენგანს მუდამუამს ჩაგვეს-
მის ტერენტი გრანელის ღამის ფრინველი-
ვით, არამინიერი შეძახილი. „არა, სიცოცხე-
ლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“.
აი, ამ უცხო მესამეზე ფიქრით და განსჯით,
თავად ანგელოზებიც ცასავით გამჭვირვა-
ლენი, შორეული სევდით არიან მოსილნი...

ტერენტი გრანელს ყოველი კოსმიური
ხილვა და განცდა პროზით რომ დაეწერა,
ის თხრობაც ხომ უნაკლო პოეზია იქნებოდა
რაღაც შორეულის და ზე ფილოსოფიური
შეგონებისა.

კოლხური ფესვებიდან აღმოცენებული
მგოსანი როგორც კი დაუბრუნდებოდა მინი-
ერ მშვენიერებას, მაშინვე სულის უმცირეს
მოლეკულამდე მშობლიური მინის, კერძოდ
თბილისის რომანტიკული და უმშვენიერესი
გარემოთი აღტკინებული, ღრმა განცდებ-
ით, უსაზღვრო პოეტურ თრობას განიცდი-
და და იქვე იბადებოდა ოპტიმიზმითა და
საამო სევდით ნაზავი ლექსი შედევრი...

პლანეტათა მგოსანი, სიკვდილ-სიცოცხე-
ლის მარადიულსა და ურღვევ შეუცნობად
კავშირს, სამყაროს მთლიანობაში აღიქ-
ვამდა...

„სიკვდილი ხომ საშინელებაა, მაგრამ სიცოცხლეც არა ნაკლები ყოფილაო“, ნაღვლიანად აღმოხდებოდა თურმე თანამედროვეებისაგან უკიდურესად შევიწროებულ პოეტს. მხოლოდ ნაღდ მიწიერ სიცოცხლეს, მის უსაზღვრო სითბოს და საოცარ სილამაზეს მიჰყავდა ტერენტი იმედის, ვიწრო და რთული ხელოვნების ბილიკებით, ოპტიმიზმის მარადიულ კვარცხლბეკამდე და უშუალოდ დგამდა იქ უკვდავებად ქცეულ ცოცხალ ლექსს, გამჭვირვალე მარმარილოს ქანდაკებად... გენის თუ დიდი მოღვაწე ადამიანის ამქვეყნიური მოვლინება და მისი შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობა უზენაესისაგან დედის საშოშივე ჩასახული კოსმიური და ლვთიური პროგრამაა. უბრალო მოკვდავთათვის კი მოულოდნელი და ბუნდოვანია. გარდაცვალება, გენიოსისა თუ უბრალო მოკვდავისა, დროის და ბედის პროგრამით გარდაუვალია და თანაბარი: იქვე უსაზღვროდ ტრაგიკული, მაგრამ საკვირველება ის გახლავთ რომ ჩვენეული დროის სვლით და მისი მარად დაუსრულებლობის იმედით დღენიადაგ ვართ გართულნი. საბედნიეროდ,

მისი მარადიულობაზე უეჭველობა და საერთო კოსმიური ბუნდოვანება უფლისმიერი მოწყალებაა ჩვენდამი... მიცვალებულს მინას რომ მიაპარებენ, ნელ-ნელა ის სიკვდილის საშინელი კლანჭებისაგან თავისუფლდება და მიწიერ მარადიულ სიცოცხლეზე გადადის. ხოლო მშობლიური სხეულიდან, სიკვდილისაგან განდევნილი და აწიოკებული სული, რომელიც ზეცაში გავიდა, მცირედროის მონაკვეთში, გამჭვირვალე, მოცისფრო-მოისფრო ზეციური სიცოცხლით და კოსმიური თვისებებით იმოსება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ცოცხალი ადამიანი, ორი მარადიული სიცოცხლის მფლობელია. ხოლო გონი — აზროვნება, სამყაროს სრული ასლი და მოდელი, მისი მესამე უდიდესი საფეხურია, რითაც სამების ღვთიური სამკუთხედი იკვრება: სამწუხაროდ, უმთავრესსა და განუმეორებელ ინდივიდთან ერთად გონებაც ილუპება უკვალოდ...

ტერენტი გრანელის სევდა — მელანქოლია და ცრემლი კოსმიური სისხლის წვეთები იყო უცნაური... ყოველმხრივ განსხვავებული მწუხარებით და უწყვეტი ფიქრებით სევდამორეული მგოსანი; მძაფრად განიც-

დიდა მიწიერ მანკიერებას, უფრო მწვავედ გალაკტიკებისა და პლანეტების შემზარავ ურთიერთ სიშორეს და ძალიან ხშირად ღრმა აღტკინებულს, კოსმიური მწარე ნაღველი, სულიდან ლექსად ამოსდიოდა...

ქართულ პოეზიაში მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი პოეტები გვყავს. მაგრამ მათ შორის ყველაზე ნათლად კოსმიური პოეზიის უხვი ელემენტები მხოლოდ ტერენტი გრანელშია განსხეულებული. „სიკვდილიდან შობილი ორი სიცოცხლე“...

ადამიანში სიკვდილისაგან მოკლული ინდივიდი ქრება ატმოსფეროში. ნებისმიერი პიროვნების ინდივიდი სამყაროს სინამდვილეში მეცნიერულად შეუვალი ფენომენია, რომელთა რიგითობა უსასრულოდ მოედინება და გაედინება ბუნების გამოულეველი ფანტაზიის მეშვეობით. როგორც მოგახსენეთ, სიკვდილის შემდგომ ნებისმიერი სხეული თავისსავე მიწას უბრუნდება და მიწიერ ფუნქციონირებაში თვითნებურად გადადის და სიკვდილ სიცოცხლის ასტრონომიული წრე აქაც მარადიულ ბრუნვაშია, სხეულიდან გასული და განმარტოებული სული კი ზეციურ სამყაროში პოულობს

თავის ადგილს და სრულ კოსმიურ ციკლშია ჩართული. ფაქტიურად სიკვდილი კლავს მხოლოდ პიროვნულ ინდივიდს და გონებას. ურთულესი და გარდაუვალი მოვლენის წინაშე, ყოველი ამ ქვეყნიური ძალა უღონოა, შედეგი კი უზომოდ მტკივნეული და ტრაგიკულია. სხვა მხრივ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სიკვდილი სიცოცხლის წრიული ფუნქციის შემსრულებელია და ორი შეტყუპებული სიცოცხლის, სხეულის და სულის მოკვდინებით (დროებითი) უმაღ თუ გარკვეულ დროში, ორი სხვადასხვა მხარეს განშტოებული სიცოცხლე იშვება: ოღონდ ურთიერთისაგან ძალიან განსხვავებული. ისევ ადამიანის ინდივიდს დავუბრუნდეთ. ინდივიდი მოდის უსასრულობიდან, უსასრულოდ, დაკანონებულად მიდის უსასრულობაში და ქრება... აյ კი უმძიმესი კოსმიური საოცრების სწორხაზოვანი ციკლია. უფრო შორს თუ გავიხედავთ ვრნმუნდებით, რომ სამყაროს უთვალავი მოვლენები ნათესაური და ერთგვაროვანია. ეჭვს გარეშეა ადამიანის ცოცხალი ინდივიდი და მოაზროვნე გონება ამ კოსმიურ ურთულესსა და ჩაუწვდომელ წესრიგს ვერასოდეს შეუ-

რიგდება და ვერც ჩაწვდება... ესეც ხომ
დიდი მიზეზი და რთული ასტრონომიული
სურათია ტერენტი გრანელის უკიდურესად
სულიერი გახელებისა და მელანქოლიური
ტანჯვისა...

მძაფრსა და ურთულეს მგოსანში ის
უდიდესი კოსმიური კოდირება იყო, რო-
მელიც მხოლოდ კოლხურ-იბერიულ გენ-
შია ჩადებული... ხოლო მანკიერი გაჩენა
— კოსმოპოლიტიზმი შეურიგებელი და
საზიზღარი მცნებაა, რომელიც დამპყრობ-
ელი ერის თვალთმაქცური იარაღია და
ყოველ უფლისმიერად გაჩენილ ეროვნულ
ინდივიდს განადგურებით ემუქრება და
აქაც სიკვდილი თავის სამოქმედო ადგილს
ეძებს...

ტერენტი გრანელში ყოველგვარი საღი
კოსმიური პროცესი მტკიცედ ბოგინობდა
და ამიტომაც ბევრისათვის რთული და
მიუკარებაა ის...

მგოსანი ღრმა განცდებით ხშირად
დასტირის უცნობის ცხედარს: ამდაგ-
ვარი თვითმყოფადი შემოქმედებითი აზ-
როვნებით იკვლევს კოსმიურ, თითქმის
ჩაუწვდომელ მოვლენებს და სრულ ჭეშ-

მარიტებას პოეზიის მეშვეობით გად-
მოგვცემს: ზემოთ გამოთქმულ უჩვეულო
აზრებს თვალს თუ გადავავლებთ, ნათ-
ლად დავინახავთ საიდან მოდიოდა, ტერენ-
ტისეული უცნაური და უსაშველო გლოვის
მთავარი მიზეზი.

მტკიცედ სწამს პოეტს, ხვალ თუ ზეგ
მას და მის ახლობლებსაც იგივე მოელის.
დედამიწიდან და საერთოდ კოსმიური სივრ-
ციდან, პიროვნების ინდივიდის უსასტიკესი
გაქრობაც (ვინ იცის, ეს მოვლენაც, დასაშ-
ვებია მიფარულიყოს სამყაროს სხეულზე;
ღმერთმა ქნას...) მჭიდროდ უკავშირდება
ტერენტი გრანელის პოეზიის კოსმიურ ფი-
ლოსოფიას.

უზომოდ მგრძნობიარე დიდი ნიჭის და
განცდების პოეტი აქაც ზეძალებს ხაზს
უსვამს და გვაფრთხილებს იმ რაღაც სხ-
ვათი... ამ სახით და თვითმყოფადი გზით
მავალი მგოსანი იკვლევს და იძიებს უძ-
ირო, კოსმიურსა და თითქმის მიუწვდომელ
მოვლენებს ტერენტი გრანელთან პოეზიით
ნააზრევი ციკლი უთუოდ რომ ახლოსაა
ზესამყაროსთან და ამიტომაც ის მრავალ-

თათვის უცხო და მიუკარება იყო, არის და იქნება...

მგოსნის დაუდგრომელმა და უმძიმესმა სულმა (ნეტავი ვიცოდეთ რამდენ გრამს იწონიდა პოეტის უშიშარი სული) ინდივიდუალური პოეზიით, შორეულ კოსმოსში მარტოდმარტომ, რაინდული და თავგანწირული მგზავრობით, ჭეშმარიტებასთან ახლოს მისვლით აღიქვა და შეიგრძნო მიახლოებით სამყაროსეული. საბოლოოდ პლანეტათაშორისო მგოსანმა ტანჯულ სულთა მკურნალ კარაბადინად ქართული პოეზიის მარადიული და ხელთუხლებელი განძი დაგვიტოვა.

კოსმოსის შორეული უწყვეტი ხმებივით და მოცარტის საოცრება რექვიემივით ალალ მართალი და ჭეშმარიტების ბეჭედია ტერენტი გრანელის პოეზია.

უცხო ტალღად სტიქიასავით მოვარდნილი ლექსის ურთულესი სტილი და მხატვრული ფორმა არამიწიერი ემოციებით, აზროვნებით და განცდების მოწოლით, თანამედროვეთაგან დამსჯელური ღალატით დაღლილ-დაქანცული მგოსანი უდროოდ

განაშორეს მიწიერ სიცოცხლეს და პოეტ-ის უკიდურესად გახელებული და განაწყენებული სული სისხლისფერ ხაზად სამყაროს ვარსკვლავეთში გაიჭრა და საშინელ შორეულში მიიკარგა...

რეზო ემელიანე ადამია

ვეღრება უფალთან

ვერ გავარღვიე ბოროტის შავი რკალები,

მუდამ თან დამდევს მე უსაზღვრო მოწყენილობა.

მოვა საღამო, და ოცნებით დავიღალები,

სულს უხარია თეთრი ღამე და უძილობა.

ჩემი ცხოვრება უცნაური ქრება ცრემლებით,

არავინ არ მყავს, არსაიდან შველას არ ველი.

ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები,

უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი...

მე და გალაკტიონი

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ყოველდღე ვიღებ ძვირფას ბარათებს,
ბაღში მივდივარ, ეს დღე ცივია.
გალაკტიონში მიწა ანათებს
და ჩემში უფრო ზეცის სხივია.

შორს ქარი კივის, ახლო მტერია,
ახლა ღამდება, შვიდია სრული.
გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფრსკული.

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

* * *

ისევ წინ მიდის პოეტის მკერდი,
რას ისურვებდი, შენ, ჩემო გულო!
ბნელი ლამეა, მივდივარ ერთი,
მივდივარ მარტო და ლექსს ვკითხუ-
ლობ.

ახლა ეს ფიქრი უფრო შავია
და სასიკვდილო არიას ვუსმენ.
ჩემი ლექსები ხომ უკვდავია
და უკვდავ სახელს ვატარებ ისევ.

გადავრჩი ისევ, წუხელ არ მოვკვდი,
რას ისურვებდი, შენ, ჩემო გულო!
ისევ ლამეა, მთვარე ამოდის,
მარტო მივდივარ და ლექსს ვკითხუ-
ლობ.

ზამთრის მოახლოვება

მოდის ზამთარი, თოვლი და ყინვა,
თოვლის და ყინვის ცისფერი წვეთი.
სნეული სახე სიკვდილის წინ ვარ,
სიკვდილის წინ ვარ, მე როგორც გედი.

დავდივართ ლამით, და მე ვარ თოვლი,
და მე ვარ ნისლი, და მე ვარ წვიმა.
და სულს ცეცხლისკენ მივყევარ
თრთოლვით,
ისე ვარ როგორც ვიყავი წინათ.

ბედის სიშორეს ქარივით მისდევს,
რიცხვები გლოვის და აღშფოთების.
თბილისის კვამლში ვეხვევი ისევ,
მე თანამგზავრი მკვდარი ფოთლების.

სძინავს გრიგალებს ლამის შუშაზე,
ფითრდება მზეზე სული მოღლილი.
ჩუმად გავივლი სადმე ქუჩაზე
მე მგლოვიარე და წელმოხრილი...

გულიძან სისხლის ნვეთაბი

მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში,
როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან მინას და
როცა სიშორეზე ტირის როიალი.

მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების
ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ურუ-
ანტელი მივლის.

თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი
გრანელი.

ნინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია
ირგვლივ.

მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მივდიოდი
სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.

ალბათ მიზიდავდა შორეული და უხი-
ლავი.

მოვედი ადრე.

და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს,
როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ
ჩაიძირება ჩემი სხეული.

ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე
და სიშორეზე.

და მეშინია...

ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.

მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

ქარიშხლიანი ლამეა და მინდა ვიყო სხვაგან.

პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

მე არ მინდოდა სიცოცხლე.

არც სიკვდილი.

მე რაღაც სხვა მსურდა.

ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზით არსებობა, როგორც იდუმალების.

მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხნის მე განსაცდელისაგან.

და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

მე მინდა გაფრენა.

მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.

ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მინა.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაცა სხვა.

ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის, გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მინას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი.

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.

ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.

წინ მეშლება სხვა ოცნების არე,
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

მართვის კონცენტრირებული ფორმა და სულიერი გერევაა

დედამიწაზე ადამიანი, თავისი ჩამობრძანების დროიდანვე, ორბუნებოვანი გახდა, ჩვენმა პლანეტამ მტკიცედ გაითავისა ის და მისეულ მძლავრ სტიქიაში შეისისხლხორცა....

მიწიერებიდან მხოლოდ გენიებია ზესა-მყაროსკენ მარადიულად ატყორცილნი:

მათგან ტერენტი გრანელი სრულიად განსხვავებული კოსმიური მოვლენა და მარად ანთებული წმიდათა წმიდა სულიერი მისტიკაა.

შემოქმედი ადამიანის მოუსვენარი სულის მძაფრი მოძრაობა და მისი მარტოობის მრავალსახეობაა. დღენიადაგ სულიერად განდეგილ პოეტს, უზარმაზარი მარტოობის ტალღა ეძგერება ხოლმე, განსაკუთრებით შუალამისას ან გამთენის ჟამს, სადაც არ უნდა იყოს, უმალ ადამიანის გამახელებელი და სულის შემაძრწუნებელი სევდა-მელან-

ქოლია მოიცავს მას და, აქედან გამომდინარე, იქმნება მხატვრული განწყობილების შესატყვისი შემოქმედება. ყოველივე ზემოთ აღწერილ მოვლენებს ბუნებაში, როგორც მცენარეთ, სჭირდება სარწყავი წყალი და მზის სხივი, ასევე ესულდგმულება ის ნაღდი მგოსნის კოსმიურ სულსაც. აგრე ყოფილა ოდითგანვე, უსაშველო და უმძიმესი გარემო-წნების მეშვეობით იბადებოდნენ უკვდავი შედევრები.

განსაკუთრებული სილამაზის სოფლის ბუნების წიაღში უმთვარო ღამეს თუ განგიცდიათ მარტოობის მძიმე შემოტევა?! როცა ირგვლივ ყველას სძინავს, ყოველი ცოცხალი არსება ისვენებს და რითმულად სუნთქავს. ამ დროს ღამის შავი დიდი ფრინველი გადაგვიფრენს და უცნაურს, სულში ჩამწვდომ რომანტიულ სევდას და უსასრულო ოცნებას ტოვებს შენში. მაშინვე მოგეძალება კაცს მარტოობის მელანქოლიის უძლიერესი ტალღა და სრულიად უცხო და ახალი მისტიური გრძნობა იღვიძებს. ამასობაში უკიდურესად დინამიური ხდება შენი შინაგანი სულიერი სამყარო, ზეციურ ძალთაგან დამუხტული და გაათკეცებული

ენერგიით გაურბიხარ ამ უხილავსა და განუსაზღვრელი ძალის მქონე დემონს, რომლის სახის ფერი შემაძრნუნებლად კუნაპეტი ღამის ფერისაა, უსასრულო, უფრო კი მიცვალებულთათვის განკუთვნილი მინისქვეშა სამარისმიერი. ამდაგვარი უკიდეგანო და შეუცნობადი სულის დამთრგუნველ-დამანგრეველი მუქი ლურჯისფერის უსაშელო გრძნობათა მორევში ტრიალებდა და უცხო გარემოში გამთლიანებულიყო სულაფერებული ტერენტი გრანელი. აბა, რომელ დიდ მგოსანთაგანს განუცდია უფრო მძაფრად და მწვავედ სულის მარტობა, ნიკოლოზ ბარათაშვილივით? პოეტის გახელებული სულით ნაქანდაკარი „მერანი“, რეალური სურათია ყოველივე ზემოთ თქმულისა. ტერენტი გრანელმა კი ბევრად მძიმე ტანჯვა-წამებით განვლო მაგდაგვარი კოსმიური შემოქმედებითი პროცესი.

უდიდესი, უსათუთესი, არგაგონილი და ჯერ არნახული სპეტაკი სულის მფლობელნი იყვნენ კოსმიური სტიქიის მქონე მგოსნები. მარტობის მელანქოლიას მიგდებული დიდი გალაკტიონიც, პოეზიის კოსმიურ

მძიმე ჯვარს ეცვა ის და ისე განეშორა ბოროტების მიწიერ ბობოქრობას.

გენიები ხელოვნებაში თუმცა საკაცო-ბრიო შედევრებს ქმნიან, უდიდეს სულიერ და გონებრივ საზრდოს უტოვებენ დედამი-ნელებს, მაგრამ, სამნუხაროდ, მათგან უმეტესობა, საშინელი მარტოობის და სუ-ლიერად უსასტიკესი განდეგილობის მსხ-ვერპლი გახლავთ.

ტერენტი გრანელის მენამულისფერ კოს-მიურსა და უდიდეს მგოსნურ სულს ვერ იკავებდა მისი საკმაოდ ძლიერი სხეული. ხოლო მათ მთლიანობას უკიდურესად ბნე-ლი და ბარბაროსული გარემო არღვევდა. ტერენტის სამყაროსეული სული და იშვია-თი მგოსნური ნიჭი უცხო ძალებად აფეთქე-ბულიყო და ვერ შერწყმოდა მხოლოდ მი-ნიერს... (უცნაური, უბოროტესი მძაფრი და მკვეთრი ურთიერთდაპირისპირების პლანეტაა ჩვენი დედამიწა) ადამიანური სულის განსაკუთრებულ გენიათა, ნიჭის და გონების სახე ამოუხსნელია, მხოლოდ მის-გან შექმნილი შედეგია მცირედად ჩვენთ-ვის სულშესახები, გონშესახები და სულით საგრძნობი; მაშასადამე, შედევრებსაც გააჩ-

ნიათ მრავალი ჩვენთვის მიუწვდომელი და ხელოვნების ბადაგით გაჟღენთილი უცხო კოსმიური ფენომენი.

ტერენტი გრანელს ჰქონდა ის უცნაური სული, რომელსაც არ შეეძლო მორჩილება; არც იმისა, ვის ჭურჭელშიც იმყოფებოდა, ხოლო ჩვეულებრივ მიწიერებთან სრულიად უცხო იყო ის. სული მისი სივრცობრივი გახლდათ კოსმიურის მთლიანი ფორმით და უნაკლოდ მოქცეული რელიგიურობის სფეროში. მტკიცედ იყო გამთლიანებული სამყაროს უსასრულობაში და ეს უცხო მძაფრი კოსმიური ძალა აწვალებდა მას და მისგან წამებული აუტანელი ტკივილით დაენარცხა ატალახებულ მიწაზე... ტერენტი ფლობდა სამყაროს და პლანეტათა მთლიანობის კოსმიურ ურთიერთფორმას და უსასრულო სულიერ მისტიკას და ყოველივე ზეფორმა გამჯდარი იყო მისი გონების, სხეულის, კაპილარის და უწვრილესი ნერვის უმცირეს ნაწილაკშიც. ტერენტი გრანელი თავისმა უმძაფრესმა მგოსნურმა სულმა მწარედ დატანჯა და აწამა; ასევე შემოდგომის ფოთოლივით უგზო-უკვლოდ აფარფატა მისმა უცხო გე-

ნიამ. თუმცა ზოგჯერ მგოსნური ცისფერი ფიალით, პლანეტათა პოეზიის ბადაგსაც ლებულობდა, ეს კი, სამწუხაროდ, იშვიათობა იყო, მაგრამ მისმა მოუსვენარმა, მძაფრმა და გახელებულმა სულმა ყოველი დროის ადამიანთა სული, გული და გონებაც დაატყვევა.

ზოგ ლექსში ტერენტი, დედამიწელები-საგან ჯვარცმული, უფლის სულით გვეს-აუბრება და გვემარტვილება.

სულის ნიჭი და ნიჭის სულიერება ქარბობალასავით ბობოქრობდა მის წმიდა და წამებულ ორგანიზმში, მისი სხეულის ყოველ უჯრედში. პოეზიის ვნებით აფეთქებული, ვერ ეტეოდა ოთახში, ვერც დარბაზებში, კლუბებში, თეატრებში, რედაქციების კაბინეტებში, სტუმარობისას, მწერალთა კავშირში, ქუჩებში, მოედნებზე, დედამიწაზე, ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში, ხოლო შემოდგომით უსაშველოდ აღტკინებული იყო და ვერ უძლებდა ბუნების კვდომას. ქარი?! — ქარი საშინლად აფორიაქებდა მისი პოეზიის განძთსსაცავს. ვერა და ვერ ეტეოდა ანრიალებული, ვერსად, და შორეულ ცას შესცემეროდა გახელებული,

აღტკინებული გარბოდა სასაფლაოსკენ, იქ ხომ არ იყო მისი ხსნა? დადუმებული და ჩანისლული საფლავების ცქერისას კი აუ-ვარდებოდა ბალლური ქვითინი. ეძებდა იმ რაღაცას, რომელიც მასთან იყო, მაგრამ ძალიან შორეული. აწუხებდა და ტანჯა-ვდა აზრი ამ ქვეყნიდან გასვლის, ამ ბნელი და გაუმჟღავნებელი მარადიულობის სუ-რათით, რომელიც საწყისიდანვე უსასრუ-ლობაში სამარის ფერია.

ტერენტის სულში იჯდა ის დიდი ძალა, რომელიც მძაფრად და მყაფიოდ ხედავდა ქვეყანას, მხოლოდ სულის თვალით; სული მისი იყო ბუნებით უძლიერესი, მაგრამ სა-მყაროსთან და მის უსასრულო სივრცესთან ნაზი და პოეტური.

ჩვენს ირგვლივ ვრცელ სამყაროს უდი-დესი დრამა და ტრაგედია ახლავს, ის საშინელ წვაშია, უსასრულო მოძრაობა-შია და უკიდურეს სამყაროსეულ მკაცრ კანონიკაშია მოქცეული და ღრმა მისტი-ური საიდუმლოებითაა მოცული, შორეულ და უხილავ ზეციურ ფორმათა მიუწვდომ-ლობაა: სივრცის უსასრულობაში ბნელი და ნათელია, დაბადება და სიცოცხლე, სიბერე,

განადგურება, მოშლა და დაშლა, აღდგენა და უფლის განაჩენი, სატანის ბორიალი და შავი საქმეები და სიკვდილი, აი, რაა სამყარო და მისი მთლიანობა, როგორც სამყაროა ყველაფრის უკიდურესობა, ასევეა გრანელის ბობოქარი მარადიული სული და პოეზია...

ტერენტის იდუმალი სულის ფერი და წონა შეუცნობადია, როგორც სამყაროს მიღმა არსებული რაღაც სხვისა...

გალაქტიკებში განსახლებულ ყოველ პლანეტას თავისი უდიდესი კოსმიური სული გააჩნია; მზე?! მზე განუზომლად ყველაფერს ფლობს და ყველაფერსვე უშურველად გასცემს. დროა კაცობრიობამ მზის კულტი აღადგინოს ქრისტიანობაში, ის ხომ სიკეთის ზეძალაა, ამიტომაც ის არასოდეს არაფერში არავის არ შეეცილება, პირიქით, მზე კვებავს ყველაფერს და ყოველივეს. უთუოდ, სამყაროს გამგებელი ზე-ლმერთი არსებობს, მაგრამ მზეზე მაღლაც არაფერია. ყოველი დიადი მიწისეული მხოლოდ მას უახლოვდება და მეტი არაფერი. მაპატიოს უფალმა, მაგრამ მე დაბეჯითებით ვიცი, თავის დროზე მიწის

ზედაპირისეულ სიცოცხლეს სამუდამოდ ჩამოვშორდები და მიწას გავუმთლიანდები. რა უცნაურობაა, როდესაც მიცვალებულს შეჰყურებ, ის ჩვენია და ჩვენთან არაა მაგრამ, შორეულ ფიქრში ზომავ ყველაფერს, რომ ის რაღაც უსასრულობის განზომილების მკვიდრი შემადგენელია. ჩვენგან, ძალიან ორეულის, მაგრამ იქაც მზის ზეძალით იცოცხლებს და იმოძრავებს ჩემი და თქვენი უკვდავი ნაწილაკები: ყოველივე ამას ტერენტი გრანელი გრძნობდა სულის ლვთიური კანონებით. მგოსნის უძლიერესი სული, გონება და გული, ლვთისაგან ანუ სამყაროს უზენაესისაგან ნიჭის მამოძრავებელი უხილავი მძლავრი მანქანა იყო, მისი ბუმბერაზი სული, ნათელი გონება და ჯანსაღი გული, ყოველდღე ძალა უნებურად მშობიარობდა მხოლოდ ლექსს და სხვა რამის გაკეთება ვერაფრით ვერ შეძლო. ტერენტის სულს დედამიწა შეუყვარდა და მისი მოხვნა მოინდომა, მიწამ თავის სიახლოვეს არ გაიკარა თურმე.

სამყაროს უსასრულობაში გენიათა სული ხომ მარადიულწვათა და ციურ ცვალება-დობაშია; აქაა სიკვდილის სიცოცხლით

დათრგუნვისა და მათი აღდგენითობის კოს-
მიური ციკლი.

ამჟამად სამყაროს სიბნელეში, ვინ იცის,
სად დაწრიალებს მგოსნის ტანჯული სული.
ზე ძალები დღენიადაგ ჩამდახიან იქაც მარ-
ტოხელააო გრანელი.

— ტერენტი! მე არ მინდა ასე იყოს,
მაგრამ...

მეცნიერებისთვის და სალად მოაზროვნე
მწერლებისთვისაც ძნელია იმის დად-
გენა, რომ გრანელის სულის რამდენიმე
უჯრედოვანი სფერო, აფორიაქებული და
აღელვებული, ენინააღმდეგ-ეჯიბრებოდა
ურთიერთს.

ტერენტის სული უცხო პლანეტის ერთ-
ერთი უხილავი და გაურკვეველ წერტილში
აფეთქებული სულიერი ვულკანია, რომ-
ლის ძალაც მარადიულ კოცონად დაენთო
დედამიწაზე.

ტერენტი გრანელთან ყოველთვის ახლოს
იყო შავი ფორმა სიკვდილისა და ძალიან მწ-
ვავედ და მძაფრად განიცდიდა მას, რადგან
სიკვდილი უმაღლესად მგრძნობიარეთათ-
ვის უახლოესი ბნელკოსმიური ლაქაა —

კაზიმირ მალევიჩის შავი კვადრატივით, მალევიჩმა, მართებულად და ნოვატორულად, შავი კვადრატი საკაცობრიო კატასტროფებს უძღვნა.

მეცნიერებო და მოაზროვნე ადამიანებო! დიდი ფრონიდის დონეზეა შესასწავლი და განსახილველი ტერენტი გრანელის სულის უცნაური რაობა.

სასწავლი დრო მომწიფდა, ჩვენს უახლოეს ეპოქაში გალაკტიონ ტაბიძე სამყაროს პატრონმა მანათობელ პლანეტად მოავლინა პოეზიის სივრცეში. ხოლო ტერენტი გრანელი სამყაროს უზენაესმა შორეული გალაქტიკიდან უცხო ვარსკვლავად შემოასახლა ჩვენი მზის სისტემაში და მის ასე შორეულიდან ლექსად შობილ კოსმიურ აზროვნებას ბევრი პოეტთაგანი ვერ ეგუება და ამრიგად გაგრძელდება მარადის, რადგან დედამიწაც მარადიულია და მისი შვილებიც. ქართული პოეზიის სივრცეში უცხო ენერგიით ბობოქრობდა ტერენტის შემოქმედებითი სული. მისთვის სრულიად უცხო იყო სულიერი ზედაპირულობითი ტკბობა და დროებითი მიწიერი ნეტარება, უცნაური კოსმიური საწვავ-ენერგიით იწვოდა

მგოსნის მარად აღელვებული სულიერი და
მუქი მელნისფერი მუზის უძირო აუზი.

სამყაროს მრავალ გალაქტიკათა ურიცხ-
ვი პლანეტების, ფერადოვანი მზეებისა და
ვარსკვლავების სტიქიური ჭექა-ქუხილის,
ზოგჯერ საშინელი აურზაურის, მაგრამ
მისეულად მოწესრიგებულის, ორგანული
მინი-მეტეორი იყო გრანელის საკვირველი
მძიმე წონის სული და არცაა გასაკვირი,
რომ მტკიცედ დატოვა ინდივიდუალური
სულიერებით გაედენთილი პლანეტათა
პოეზია. ამდაგვარმა ურთულესმა პროცესმა
ტყუპისცალად გაპყო მგოსნის აწიოკებული
სული: პირველი პოეზიის უშუალო მეოხე-
ბით დედამიწელებს მიბარებული და მეორე
თავისუფალი სამყაროს ციურ უსასრულო-
ბაში გასული. მთლიანობაში, მათი ჰარ-
მონიული და სინქრონიული მოგზაურობაა
სამყაროს და დედამიწის მარადიულობის
უსასრულობაში.

ამონანერი, ტერენტის დღიურიდან:

„მე გარინდული ვუსმენდი როიალს და
შორიდან ვხედავდი რაღაც ცისფერს. გა-
დიოდნენ წამები და მე ცეცხლივით მწვავდა
გრძნობა“. ამ ტერენტისეულ გოდებას რომ

ნაიკითხავთ, უსათუოდ უნდა მოგაგონდეთ უცხო გენით გამოწვეული და დაუოკებელი სულისაგან ცეცხლმოკიდებული ვინსენტ ვან გოგის საოცარი მოვლენა — ავტოპორტრეტები. ვან გოგი და ტერენტი გრანელი სულის ვულკანური აფეთქებაა ჭირვეულსა და უზომოდ გადატვირთულ ადამიანურ სხეულში, მარადიულ კვამლად და ხანძრად ატყორცნილი. ამ დროს, მათი საფლავები როგორ სიმშვიდეში არიან ჩაკირული. ვან გოგით და ტერენტი გრანელით უფალი ყოველთვის სამართლიანად გამარჯვებულია, თუ რაიმე ტანჯვით იარეს ამ ქვეყნად, ის ხომ მაცხოვრისმიერი გზა იყო ნათელი.

ტერენტი გრანელის მრავალწახნაგოვანი სული მხოლოდ და მხოლოდ იმით იყო ბედნიერი, რომ მგოსანმა უფლის დონეზე წმიდანად იმოგზაურა და მოგზაურობს პოეზიის კოსმიურ სივრცეში.

რეზო ადამია, მხატვარი

ლამის მოუსვერობა

ლამეა ჩუმი და მაღლა ნისლია,
და შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები.
რა ვქნა, გაფრენა მე არ შემიძლია,
რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები.

ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს
უძახიან,
წმინდაო ღმერთო! მე დიდხანს
გელოდი.

სული — სხეულის ჩუმი ტუსალია,
სული — უცნობი, სული — ანგელოზი.

მოდის დღე ახალი და ნელა ბერდება.
აქ დუმილია, ალბათ იქ ტირიან.
გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება
და გრძელი ლამე ჩემი სიკვდილია.

მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი
და მივყვებოდე ქარში გასვენებას.
შუალამეა, რაღაც ვერ ვისვენებ
და ახლა მინდა იყოს გათენება.

* * *

ნელა ქრებიან სულის ლანდები,
ჩემი თვალები ხომ დახრილია.
მივალ და მიმაქვს ქვეყნის დარდები,
მარტი გათავდა, დღეს აპრილია.

წინათ იყავი მხოლოდ შენ ერთი,
ახლა ჩემი ხმა ზეცას მოიარს.
მე მივდიოდი, უცებ შევჩერდი
და ფანჯარასთან ვუსმენ როიალს.

და მწუხარება უფრო ინთება,
ვიგონებ წარსულს გულისტკივილით.
ამ საუკუნეს ხომ გასცილდება,
ჩემი ტანჯული სულის ტკივილი.

* * *

სადღაც სდუმს მთები, სადღაც
ნისლია,
ვერ გადურჩები სულის წვალებას.
მე რომ გაფრენა არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

სადღაც სდუმს დილა, სადღაც ძილია,
გზა გაიარეს სადღაც ქალებმა.
ჩემი სხეული რომ დაღლილია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

და სადღაც ბალთან ვიღაც იცდიდა,
და უცებ ზეცა ნახეს თვალებმა.
რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

MARGUERITE

შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე,
და კანკალებდა რტოები ვაზის.
გველივით გვდევდა ცრემლების
ზღვაზე,
მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი.

ეს იყო დარდი, სულის დალალვა,
და სისხლიანი ბედი ქრისტესი.
ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბად
სიჩუმე თეთრი და უწმინდესი.

გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან,
და გაწვალებდა თოვლი და ქარი.
ძველი დღეები შენ წინ ჩნდებოდა,
როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის.

ლამის მოუსვერობა

ლამეა ჩუმი, და მაღლა ნისლია,
და შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები.
რა ვქნა, გაფრენა მე არ შემიძლია,
რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები.

ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს
უძახიან
წმინდაო ლმერთო, მე დიდხანს
გელოდი.
სული — სხეულის ჩუმი ტუსალია,
სული — უცნობი, სული — ანგელოზი.

მოდის დღე ახალი და ნელა ბერდება,
აქ დუმილია, ალბად იქ ტირიან.
გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება,
და გრძელი ლამე ჩემი სიკვდილია.

მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი,
და მივყვებოდე ქარში გასვენებას.
შუალამეა, რაღაც ვერ ვისვენებ,
და ეხლა მინდა იყოს გათენება...

* * *

„Memento mori“

ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება,

ახლა მოდის ივნისი, ირგვლივ მწვანე მოლია.

ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება,

ჩემი გული და სისხლი — ეს „Memento mori“-ა.

დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი,

ჩემს გარშემო ციხეა — მწუხარების სავანე.

რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვიწამებდი,

მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.

სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთასთან ბურია,

ამნაირი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი,

ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია

ვარსკვლავები — სიმბოლო თეთრი მარადისობის.

ახლა რა ვქნა არ ვიცი, მე როდესაც
ასე ვარ,

როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის.

მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება,

ჩემი ნაზი სამშობლო — ლაჟვარდები
ცისფერი.

რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,

მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.

ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა,
უსახელო,

რომ დაღუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით.

ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,

მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე
შორია.

ჩემი გვარი: გრანელი — პოეზიას დარ-
ჩება,

ჩემი გული და სისხლი — ეს „Memento
mori“-ა.

მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ,
იქ, უცხო მხარეში ალბათ მომელიან.
ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე
და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია.

ისევ აქა ვარ, თუმცა ვარ იქაც,
და ლექსი — გულია, და ლექსი — სისხ-
ლია.
სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას
და ახლა სიკვდილი ასე ადვილია.

ტერეთი გრაველის ლექსად მოქცევა და ტკივილად ნასვლა

პლანეტათა მგოსანი წმიდა პოეზიას და
კოსმიურ აზროვნებას ზვარაკად შეეწირა,
როგორც მაცხოვარი ადამიანთა შორის სი-
ყვარულის და ღვთიური სიბრძნე-სიკეთის
თესვას. ზეციური მარგალიტების მომპოვ-
ებელ მგოსანს მწარე მარტვილობა შეაგებეს
და მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლის წამებუ-
ლი სიცოცხლე აკმარეს.

მე არ ვწერ ლექსებს,
ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.

რა დიდებულია ტიციან ტაბიძის ლექსად
ნათქვამი პოეტური სიბრძნე: უთუოდ,
ტერენტი გრანელიც ამგვარი პოეტური
ლირსების, სიბრძნის და მაღალმგოსნური

ზნეობის გახლდათ. ეს იშვიათი მხატვრული ფორმის ლექსი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ლვთიური ფონის მქონე და ნიჭვაზავებული მგოსანთაგანაა შექმნილი, რომელიც ნაღდი პოეზიის ფორმულას წარმოადგენს.

ხოლო ტერენტი გრანელის ღრმად ფსიქოლოგიური ლექსი „პორტრეტი“ გენიალური ფერმნერის ერთი ამოსუნთქვით შექმნილი სურათივითაა. ასევე წმიდა პოეზიისთვის შობილი მგოსნის, გულის სითბოსეული ამოძახილია, იმ მგოსნისა, რომელშიც ერთი მისხალიც არაა არა პოეტის...

„ჩემი ცხოვრება არის პოემა,
ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“.

გადავფურცლოთ მგოსნის ერთ-ერთი სამყაროსფერი წიგნის ფურცელი და გრძნობით გავუმთლიანდეთ მას...

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი
არამედ რაღაც სხვა“.

აი ეს რაღაც „სხვასაკენ“ ეპატიუებოდა პოეტს ჩემ მიერ ნაგრძნობი უხილავი მერვე ფერი შემოქმედის გენისა; ფერი სულის უკვდავებისა და მარადიული ხელოვნების შემქმნელი, როგორც ლმერთია, ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობელი და მიუწვდომელი, ასევე შორეული და ურთულესი ბუნების შემადგენელია, ფერთა სპექტრის შვიდი ფერიდან დამოუკიდებლად არსებული შემოქმედებითი გენია, უხილავი მერვე ფერი.

— „მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ. ალბათ რომ მეხილა მზე — შორეული და უხილავი. მივედი და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვარს, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული. ვფიქრობ, მოვა უამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე“. ეს პროზა ის კოსმიური მონოლოგია, რომელსაც დაბერება არასოდეს უნერია, როგორც ლიტერატურულ ფორმას და მიმართულებას, თუ გნებავთ, ტერენტისეულ მხატვრულ სტილს. გაივ-

ლის საუკუნეები და თანდათანობით გამოიკვეთება დროსთან შესატყვისი ლიტერატურული მიმდევრობები, ინდივიდები და სრულიად დამოუკიდებელი გენიები; ხოლო ტერენტი გრანელისეული სულისმიერი ზესამყაროზე შეძახილი მარად ახალგაზრდულია და მარადიულობის ფორმისაა...

სწორედ ეს გრანელისეული, სულიერი ფერებით გაჟღენთილი, უცნაური მონოლოგი, მხოლოდ და მხოლოდ უხილავი მერვე, შემოქმედებითი ფერის და კოსმიურ ბურუსში გახვეული გონებითაა დაწერილი, რომლის სული დედამიწიდან უკუძალების მაგნიტური ველით ზეცისაკენ მიიზიდებოდა.

პესიმიზმი, სევდა, შიში, არამიწიერი რაღაც უცხო სულიერი ფორმები; სიკვდილის უცნაური ლანდები, კოსმიური ველი, შუქი და უხილავი მერვე ფერი... შური, მტრობა, დაუნდობლობა, დაცინვა, კომუნისტური ტლანქი გონების ზემოქმედება, ცხოვრებისეული დუხჭირი, მგოსნისმიერი თანდაყოლილი მელანქოლია და განწირული განწყობილების მუქი ფონი და საშინელი უიმედობა. მძაფრი და გახელებული პო-

ეტური ნიჭის ფორიაქი. აი, რა აწიოკებდა ტერენტის, მის სათუთ ბუნებას, გონს და სამყაროსფერ სულს.

ადამიანური ბედნიერება და სიხარული? ძალიან ცოტას წყალობდა მიწიერი გარემო, გამონაკლისის გარდა, რომელიც მას თითქმის არ ჰქონია. ყოფა მხოლოდ ყოველდღიური წამებისა და უმძიმესი ფორმით: სულის საშოდან კოსმიური ფერის და მუსიკის მქონე ლექსის მშობიარობაა. უძველესი კოლხური კულტურის სურნელი ათასწლეულის ცივილიზაციათა, შორეული-დან ბჟუტავს ან უხილავი გაუღენთილი საგანძურის მიმქრალი ნაღვერდალივით.

ამდაგვარ ურთულეს მიწიერ და კოსმიურ შემოქმედებით დატვირთვას ვერ გაუძლო წაბლისფერთმიანმა, ცისფერ, ფართოთვალება და პარივით გამჭვირვალე სხეულის მქონე მგოსანმა.

უთუოდ ნიჭიერი და დიდი შემოქმედია მწერალი ლერი ალიმონაკი, სულის შემძრავად რომ ეფერება და ელაციცება ტერენტი გრანელს, მის უკვდავ პოეზიას და გულის სიღრმემდე ტკივილით განიცდის მგოსნის ტრაგიკულ ცხოვრებას.

ტერენტი გრანელის პოეზიითაა და-
კავებული ამჟამად პარიზში მცხოვრები,
სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი
დოქტორი, ბატონი დავით თოთიბაძე-შა-
ლიკაშვილი. ბატონი დავითი, მეცნიერულად
იმდენად ჩახედულია და გამთლიანებული
ტერენტის უცნაურსა და მძაფრ პოეზიაში,
რომ უდიდეს ფრანგ პოეტებზე ფიქრი და
წერა ცოტა ხნით განზე გადაადებინა, ანუ
ტერენტისთან მათი შედარებებითაა დაკა-
ვებული. ყოველი პარიზელი პოეტი, პოე-
ზის მცოდნე თუ ინტელექტუალი უარს
არ იტყოდა ტერენტი გრანელის ფრანგ
პოეტობაზე. ჰემინგუეისა არ იყოს, პარიზი
მარადიული დღესასწაულის ქალაქია, მა-
გრამ პარიზიც ხომ გაუდენთილია ტერენ-
ტის მონათესავე სევდითა და ჰესიმიზმით:
პარიზსაც აფარია სევდიანი სამყაროს
უზარმაზარი გუმბათი. თავად მსოფლიოს
მშვენება ნოტრდამიც ზეციური სევდის
ბურუსშია გახვეული, რომელსაც კოსმოსი
უწყვეტ ნაკადად უგზავნის, სიცოცხლეს-
თან ერთად, სიკვდილის გარდუვალობა-
საც. მაშ, რა გამოლევს ამქვეყნად სევდასა
და ჰესიმიზმს. ყოველგვარი სიბერეც ხომ

სევდაა უსასრულო... ცხოვრების დანარჩენი პერიოდი ბრძოლის, გამარჯვების და დამარცხების პროცესია, ცხოვრებასთან მაღვე და მეტის დაწაფების სპექტაკლია, ხოლო ყოველი სპექტაკლის ფინალი ისევ და ისევ სევდიანია. თავად ტერენტისთან მოპირდაპირედ მებრძოლი კომუნისტური ფანატიკური საზოგადოება საშინელი ტრაგედია იყო, რომელთა არსებობის ბიოგრაფია სამარცხვინო სევდით მიიღია... რა თქმა უნდა, ცხოვრებას გარკვეულ პერიოდში ახლავს სიხარული, სიყვარული და ინტიმური გატაცებების მოზღვავებაც, მაგრამ ყველაფრის საბოლოო ფინალური ფონი ცისფერი აბრეშუმის ფერის კოსმიური სევდაა.

ტერენტი გრანელი ალალმართალი მგოსანი იყო ბიბლიური წინასწარმეტყველივით: ამ მხრივ ყველა თავის თანამედროვე მგოსანზე მაღლა იდგა. მისმა სპეტაკმა გენიამ ახლოსაც არ მიიკარა თავისი ეპოქის პოლიტიკური ჭუჭყი და მიწიერი მდაბიურობა; დიდი ვან გოგივით, ვასილ კანდინსკივით, ნიკო ფიროსმანიშვილივით, ამადეო მოდილიანივით, გოგენივით სამყაროს მკრთალი

ცისფერი არეალის შემადგენელი გენი გახდა და მთელის სისავსით გაითავისა გენის მერვე ფერის შემადგენლობა.

ტერენტი გრანელის პესიმიზმს, სევდას და მგოსნურ თავისებურ მელანქოლიას უკიდურესად ლანძღავდნენ და დასცინოდნენ კიდეც უხეში გონების კომუნისტები, მათი მონინავე იდეოლოგები და უნიჭო რეალისტები.

ყოველი ჩვენგანისათვის არც ისე ადვილი დასანახია, რომ სევდის და პესიმიზმის ბურუსშია გახვეული თავად სამყაროს მთელი უსასრულობა და კოსმიურ მთლიანობაში კი ყოველივე უდიდეს ტრაგედიამდე მძაფრად აზიდული სევდაა. უთუოდ უნდა ვირწმუნოთ, რომ კოსმიური სევდითაა გაუღენთილი ბნელი სამყაროს უსასრულობა. მხოლოდდა შემაშინებელი სიშორით, დაშორიშორებული მარტოხელა პლანეტებიღა ანათებს მას, რომელთა რიცხვიც აღურიცხავია და უსასრულობის ცისფერ გარემოში სხვადასხვა ზომისა და სიძლიერის ვარსკვლავებია. სამყაროს ამ შემზარავ სივრცეში თითოეული მათგანი მარადიულ მარტობაშია, თუმცა მათ შორის, გარკვეული ზომი-

თა და დონით კოსმიური უწყვეტი კავშირი არსებობს...

რადგანაც პლანეტათა ხნოვანებაც სა-
მყაროს დროითაა განსაზღვრული, ამიტომ
კოსმიური სევდა და უსაზღვრო პესიმიზმია
მათი არსებობაც. დრო სამყაროს უსას-
რულობიდან მოდის, რომელსაც მოაქვს
შორეული კოსმიური სევდა, მერმე გარ-
დამავლობით მნარე მინიერ ნაღველთან
ერთად არარაობაში გადის. ჩვენამდე მოსუ-
ლი კოსმიური დუმილი ყველაფერზე დიდი
საიდუმლო და შემზარავი სურათია...

პლანეტათა ამ უდიდესი მაგნიტური
ველით და კოსმიური სევდით დამუხტულ
უკვდავსა და მძლავრ სულს ატარებდა
ტერენტი გრანელი, რომელსაც დაერთო
ღვთის მადლცხებული პოეზის უდიდესი
ნიჭი. ამ ფორმის და ზომის კოსმიური დატ-
ვირთვა, გახელებული და საოცრად მძაფრი
სულიერი დინამიკა, უმძიმესი და ყოველ-
გვარი ცხოვრებისეული პირობების არქონა
დღითიდლე ანადგურებდა ტერენტის ფიზი-
კურად დასუსტებული სხეულსა და მის ნაზ,
მგრძნობიარე მგოსნურ სულს. სამწუხაროდ,
ტერენტის სხეულმა, მისმა „სუსტმა გარს-

მა“ ვერ გაუძლო ამ ურთულეს პროცეს-ებსა და ნერვიულ რყევებს: „არ თავდება ვაება და იობის წამება“, „თანაც მტანჯავს ციება“, ... „ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპა-ტიება“. ამასობაში ნიჭი პოეზიისა უფრო და უფრო აღტკინებით აწვებოდა და აწვალებდა მგოსანს; ვულკანური ხასიათი მიიღო მან და ისედაც დასუსტებული ადამიანის ორგანიზმი უმოწყალოდ დაანგრია; ჩვეულებრივი სიცოცხლის არსებობისათვისაც მოშალა და შინაგანად დაასუსტა უცხო ზეძალებისაგან მიტაცებული და ნახევრად განადგურებული.

დიდი მგოსნის პოეზიის ბაჯალლო ოქროს ჭურჭლიდან უანგაროდ იღვრებოდა წმიდათა წმიდა ლექსი. ტერენტი გრანელი ჩვენი პლანეტის სევდის სრული ფერწერული სურათია. მგოსნის უნაკლო შემოქმედება წარსულის შორეული ეპოქის და ყოველი დროის რჯულის, სხვადასხვა რელიგიური ნებისმიერი ადამიანის სულის შეუნილბავი ფორმა და უშიშარი სახეა. მან შექმნა ახალი პოეზია, მხოლოდ და მხოლოდ უცხო ძალისმიერი სულის კივილით და ასევე ჩვენი პლანეტის გარემოსმიერი გონების კარ-

ნახით, რასაც ახლავს ზემინიერება; მან შექმნა მიწიერთათვის ძნელად ჩასაწვდომი წმინდა კოსმიური პოეზია, რომელიც მომავალი საუკუნეების, ადამიანთა გონების მხოლოდ მეცნიერული თვალია... ტერენტი გრანელი იყო კოსმიური სულით და სევდით ნაკვები პოეტი. ტერენტიში ჩაისახა და მკაფიო სურათად ჩაიხატა ადამიანის მოდგმის მარადიული ტრაგედია, სულის ფენომენი და მისი ბედის მთლიანი სახე. შეიძლება მილიონობით წლის შემდეგ, ჩვენი პლანეტის მძიმე მომავლის სევდაც გაიაზრა და მტკიცნეულად გაითავისა ურთულესი ალლოს მგოსანმა. ასეთი გრძნობებისა და აზრებისაგან მიტაცებული პოეტი, ამოუხსნელად და შორეული უცხო ინსტიქტით, უცნაური ფერების ბრილიანტებით მოქარგული, ოქროს უძველესი კოლხური სამეფო ხომალდივით ჩაიძირა სამყაროსფერ უძირო ოკეანეში; შემდგომ არქეოპოლისის უძველესი კოლხური სამარხებიდან ანთებული სული, მარადიულად აგიზგიზდა ტერენტი გრანელში და ადამიანთა გონება მაღალი პოეზიით გააღვიძა, მძაფრად გააღიზიანა და გაანათა. მერმე, წამებით, წიოკით და

დღენიადაგ შორეული განცდებიდან გამომ-დინარე, მდუღარე ცრემლით ნაბანავები მგოსანი, აგრე ტანჯულად გადაბარგდა იქ, საითკენაც დღედაღამე გახელებული მიიღოვოდა. როგორი უცხო და შორეული იყო ის თავის თანამედროვეებთან!

რამდენიმე ათასი წლის უკანასკნელი არქაული პერიოდის, მგოსნური ნიჭით და-ჯილდოვებული კოლხთა მგოსნის სულმა გაიღვიძა გრანელში, რომელნიც ჩვენი ათასწლეულის ადამიანებთან შედარებით, ძალიან ახლოს იყვნენ სამყაროს ღრმა არსში და კოსმიური ენერგიით გრძნობდნენ პლანეტათა მაგნიტურ ძალას. ალბათ წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც მძაფრად გადიოდა ტერენტის სხეულში. ყოველივე ამ უცხო ძალთა მოზღვავე-ბას ტერენტი გრანელის ბუნებაში კარგად გრძნობდნენ კომუნისტური და ათეის-ტური ეპოქის ლიდერი პოლიტიკოსები და მათ მიერ გადაბირებული გზას აცდენი-ლი ხელოვანნი. ტერენტი გრანელის, თა-ვისთავადი და თავისუფალი ნიჭისგან გა-ბოროტებული ადამიანები მოხეტიალე და ღარიბი მგოსნის საწინააღმდეგოდ არაფერს

იშურებდნენ. ბევრი მათგანი მგოსნის ყოველდღიურ წვას და ტანჯვას ცინიკურად შეჰყურებდა, სწრაფი სიკვდილით დასჯა არ მიუსაჯეს, მაგრამ, უფრო საშინელი, ხანგრძლივი ტანჯვითი განაჩენი გამოუტანეს, რომელიც ახალი და შეგნებულად შემუშავებული ხერხი იყო თავისუფალი მგოსნის მოსპობისა და მიაღწიეს კიდევაც.

მერმე წამებული პოეტის საფლავი და შემოქმედება მხოლოდ ნათესავებმა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა გადაურჩინეს ქართველ ხალხს და კაცობრიობას.

უიღბლო მგოსნის ტრაგიკული სიკვდილი არც წყენიათ და არც გაკვირვებიათ სატანის სამსახურით გართულთ; მათ მიერ წამებულ პოეტს წუთისოფელთან ადამიანურად გამოსათხოვარი ქრისტიანული რიტუალიც არ აღირსეს. აი ესაა ეშმაკეულ, მხოლოდ მიწიერთა ზნე. ჩვენს პლანეტას აქვს თავისი კოსმიური სიდიადე და რთული არსი, იქვე საშინელი უარყოფითიც. ყოველმხრივ უარყოფითი მუხტის მატარებელნი იყვნენ მაშინდელი ქვეყნის ბატონ-პატრონნი. ნუ გაგიკვირდებათ, ჩემო თანამედროვენო და იგივე ზნეობრივი ურთიერთდამოკიდებ-

ულების პროცესი დღესაც გრძელდება და გაგრძელდება მარადის. სამწუხაროდ, მათი ტარტაროზული შავი ბუნება ბევრ ზიანს აყენებს ყოველგვარ ღვთიურს და წმინდა სამყაროსეულს, ყოველივე ამქვეყნიური ჭუჭყი სატანის ბრძა მანქანის აუცილებელი და ძლიერი დეტალთაგანია!..

ტერენტი გრანელი გაქრა ჩვენი პლანეტიდან და მხოლოდ თავისი ნეშტის მცირედი ნაწილი მიუგდო დედამიწას, ხარკის სახით. თვითონ პლანეტების ლეგენდარული მგოსანი სულიერად, სამყაროს უსასრულობის და მარადიულობის სივრცეში გამთლიანდა და, ვინ იცის, რა ფორმით, როგორი სახით. ეს მხოლოდ უფალმა იცისო, იტყვიან და უთუოდ ასეა.

მნარე და ცრემლიანი იყო მისი ძალიან მოკლე ცხოვრება. დედამიწაზე დროებით ამდაგვარ სტუმრობას საშინელი ტანჯვით, უსაშველოდ გაღიზიანებული, არნახული და არგაგონილი სულიერი ფორიაქით და პოეტური განცდების წვით გადიოდა.

სიღარიბე, უძირო სევდა, ხშირ-ხშირი მელანქოლია, შური და მტრობა, სიძულვილი, დევნა და წმიდანი მგოსნის დაპატიმრებები,

გადასახლება, ეს იყო მისი თანამდევი! სულიერი და ხორციელი ტკივილით წამებული მგოსანი ითხოვდა შველას და საიდანლაც ელოდა კიდევაც, მაგრამ ამქვეყნიური თანადგომა და ხსნა არსაიდან ჩანდა...

ყოველი დიდი პოეტი თავისი როგორი ბუნებით ინვის და ბენელ გვირაბში თაფლის სანთელივით ილევა და თავისსავე უცხო სულიერი სივრციდან შობილ ლექსს თავადვე მდუღარე ცრემლით აღიქვამს. სევდით და ტკივილით ცეცხლმოკიდებული მისტიკური ლექსი ავტორსაც თუთქავს. სწორედ აქაა კოსმოსის გახსნა.

ამგვარად, ტერენტი გრანელი მძაფრად გაუმთლიანდა სამყაროს და მასში ჩაიფერყლა.

სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა გამავალი, კოსმიური ფენომენის უცნაური ბინადარი გახლდათ ტერენტი გრანელი, რომელსაც გამეტებით იზიდავდა სიკვდილის ჩრდილები. ხოლო მისი არსების მთლიანი მიზიდულობა ზეცისაკენ მიექანება. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მიწიერი სრულყოფილება და ბედნიერება მისთვის უცხო იყო, რის შედეგადაც დაჩქარდა ახ-

ალგაზრდა მგოსნის ამქეყნიდან ტრაგიკული გასვლა...

ტერენტი გრანელის პოეზია, რა თქმა უნდა, ეროვნულია, მაგრამ მისი პოეზიის ღია ჭიშკარი საკაცობრიოთა შორის, კოსმოსის მარადიულ სამყაროშიც გადის. დროა უკვე მიხვდეს ქართველი ხელოვანი და არა ხელოვანი, რომ ტერენტი გრანელი შურზე მაღლა დგას. ჩავიხდოთ დაკვირვებით მის სტრიქონებშუა განფენილ გამჭვირვალე ძვირფას საგანძურში და უმაღ მივხვდებით, თუ როგორი კოსმიური სამკაულებით ელვარებს მგოსნის, პოეზიის ფერწერული სახე. ძალიან ახლოსაა ის გენიალური აბსტრაქციონისტი მხატვრის, ვასილი კანდინსკის მარკ შაგალის და ხუან მიროს ფერწერულ ტილოებთან. ტერენტი გრანელის პოეზიაში ხომ დიდი სევდა და პესიმიზმია, მაგრამ ერთი მისხალიც არაა მისი ავადმყოფურობისა, ყველგან ჯანსაღი რეალობაა. ტერენტის პოეზია, გენიალური მხატვარ-ფერმწერი ამადეო მოდელიანისა არ იყოს, ინდივიდუალური მაღალმხატვრული და ღრმად სრულყოფილი მხოლოდ ტერენტისეულია.

— „იტყვიან: სამყარო ჰომეროსის, სა-
მყარო პლატონის, სამყარო დანტესი, იგუ-
ლისხმება: მათი სამყარო, ცალკეულ ხილ-
ული ცალკეულხილული სამყარო არ ეწი-
ნააღმდეგება ამრიგადვე ხილულ სამყაროს
სხვას. თვითეული მათგანი ხილვაა მხოლოდ
სამყაროს რომელიმე ასპექტისა ვისაც ასე-
თი სხვაფერული სამყარო არ შეუქმნია, ესე
იგი: არ უცნაურებია, მის ნიჭს — არის
იგი ხელოვანი თუ მოაზრე — „გენიად“
ვერ მოვნათლავთ, გენის სიდიდე ამრიგად
განიზომების: თუ რა პლასტიკურობითაა
იგი გამოსახული გრიგოლ რობაქიძის ეს-
სედან „უცნობი საქართველო“.

თბილისში, ჩემი სტუდენტობის პერიოდ-
ში, ასეთი ხმა დაირხა, ვითომდა დედამიწა-
ზე სტუმრად ჩამოსულ უცხოპლანეტელებს
აზრი გამოუთქვამთო: თქვენ, ადამიანები,
იმდენად ბოროტები ხართ ერთმანეთის
მიმართაც, რომ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდ-
ება თქვენთან სიახლოვე და მეგობრო-
ბაო. ორი ათასი წლის წინ კაცობრიობის
ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და
მნარე ფაქტი ხომ მოხდა განკაცებულ მაცხ-
ოვართან ჩვენი შეხვედრით დედამიწაზე.

სიკეთე, სიყვარული და კოსმიური სურნელით გაჯერებული სიბრძნე თესა იქსომ; და მაინც, საშინლად ვაწამეთ და ჯვარს ვაცვით... ტერენტი გრანელი სიმბოლური განსახიერება იყო მაცხოვრისეული ცხოვრებისა, ჩვენი პლანეტის და სამყაროს მთლიანობისა... იშვიათია ჩვენს პლანეტაზე ტერენტივით ღრმა სულიერი ფორმის და ურთულესი ადამიანური ბუნების მგოსანი, შედარებისათვის, როგორც ვინსენტ ვან გოგი და ამადეო მოდელიანი ფერწერაში. ტერენტი ანგელოზური ყველა თვისებით იყო აღჭურვილი და ამიტომაც გაუჭირდა იმ მოკლე დროითაც ცხოვრება ჩვენს ცოდვილიან მიწაზე (განკაცებული ანგელოზიც დედამიწაზე რომ ჩამოგვივიდეს, უთუოდ აწამებს მას ადამიანთა მოდგმა) რაზეც მარადიულად ჩაჭედილია სიკვდილის გარდაუვალობის ბეჭედი.

მიწა, სიკვდილ-სიცოცხლესთან ერთად, უთვალავი ავადმყოფობითა და შხამითაა სავსე. ამ პლანეტას ღმერთი და მზე რომ არ კვებავდეს, ბნელის, სატანის და სიკვდილის მარადიულ-ჯოჯოხეთურ ტახტად იქცეოდა.

ყოველივე ამ მწარეს და უფერულ გრძნობებს ლუდვიგ ბეთჰოვენის დონეზე განიცდიდა წალენჯიხის ულამაზეს ბუნებაში შობილი ტერენტი კვირკველია...

შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ,
ნმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე?
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

— აქ მარტო ლექსის შინაგანი პოეტური ეშნი და სიდიადე კი არაა, არამედ ადამიანის, მიწის და სამყაროს მწარე და ღრმა კოსმიური ურთიერთდამოკიდებულებაა. მძაფრად და კონკრეტული ხაზებით და ტონებით მოხატული, დიდი პაბლო პიკასოს ფუნჯის დარად...

პარიზის ხელოვანთა შორის ულტრამილიონერი, ძალიან თამამი და რაინდული ნიჭის მქონე მხატვარი, წარმოშობით ესპანელი, პაბლო პიკასო, რომელმაც ზეციური ნიჭის წყალობით მოათვინიერა პლანეტის ყოველი რჯულის მიწიერი. კაფე როტონდოში, ამედეო მოდელიანთან ერთ-ერთ გულითად საუბრისას სიღარიბისაგან სა-

სოწარკვეთილებამდე მისულ ამადეოს ეუბნება: — ჩემო კოლეგავ, ძალიან ღარიბად ცხოვრობ და მწყდება გულიო! მეგობრული რჩევა მინდა მოგცე, ამადეო! „კუბიზმი“ შეიტანე შენს შემოქმედებაში და პარიზში უმალ გაგიჩნდება თაყვანისმცემლებიო. მოდელიანმა იქვე ცივი უარი შეაგება სიცოცხლეშივე აღიარებულ მხატვარს; მე ჩემს ინდივიდს ვერ ვუდალატებ, პირად მეობას ვერ დავთმობ სიკვდილის ფასადაცო და ამ გზით ვივლი ბოლომდეო. მერმე მათი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ტერენტი გრანელის გზა ბევრად ურთულესია, ვიდრე მოდელიანისა, ვანგოგისა და ნიკო ფიროსმანაშვილისაც: ის პერიოდი და მეთოდი იყო არჩევანი იმ შემოქმედებითი მეობისა, თავისი საკუთარი სტილის ძიებისა ხელოვნებაში, ანუ დიდი შემოქმედებითი ინდივიდისა, რომელიც, გარკვეული დონით, ხელოვნების ანგელოზთან მსხვერპლის მიტანას მოითხოვს... საერთოში მოდელიანმა, ვან გოგმა, ნიკო ფიროსმანაშვილმა, ტერენტი გრანელმა და კიდევ რამდენიმემ, მთლიანად უბოძეს თავიანთი თავი მშვენიერების სამსხვერპლოს...

ტერენტის ამდაგვარ ჯოჯოხეთურ ველზე ბრძოლებთან, საშინელ, ეპოქალურ უზნეობასთან კაციჭამიების დროში მოუხდა უთანასწორო ჭიდილი და სასტიკად ემსხვერპლა. მარქსისტული ფანატიზმით შეპყრობილმა, ათეისტურმა ბრბომ გასრისა უმანკო სულის მგოსანი... მაგრამ მოხდა სასწაული, პოეზიის ანგელოზმა ტერენტი გრანელს უკვდავების პანთეონში უბოძა ღირსეული ადგილი. ისინი კი დააკმაყოფილა დროებითი განცხრომით და თავიანთი სატანისეული ზნეობიდან გამომდინარე, გადაშენების ბნელი მღვიმეებით არარაობისაკენ გაატარა... ტერენტი გრანელი დასაწყისში გალაკტიონის გავლენას განიცდიდაო, მაგრამ ჯანსაღი ყლორტი იყოო, კნინობით გვებრძენება მგოსნის თანამედროვეობის პოეტი თუ მწერალი. აბა, ვინ, ვისი ყლორტი არ იყო, რომელი მათგანი?! ან ვინ მობრძანდა, ზეციდან მიწიერი საზრდოს გარეშე?

პოეზიის ისტორიას რომ გადავხედოთ, ათასწლეულებს ითვლის და გრანიტის საფეხურებით მოემართებოდა ჩვენი ეპოქის მისადგომებამდე. უძველესი დროის გენია,

მაგრამ მარად ახალგაზრდა — და ყოველი დროის თანამედროვე პომეროსიც იკვებებოდა ანტიკური ცივილიზაციის ადრეული პერიოდის მგოსნებით: შემდეგ ჩამოყალიბდა ის მარადიულობის გენიალურ მგოსნად.

ამდაგვარი ჭეშმარიტი გზით და ხანგრძლივი დროით, დარბაისლური ნელი ნაბიჯებით სიარულის პროცესში მიმდინარეობდა კაცობრიობის პოეზიის განვითარება; იზრდებოდა გენიები და მათ შორის ამოვარდებოდა უდიდესი ინდივიდები და ქმნიდნენ სასწაულმოქმედ შედევრებს.

სულის ხატვა და მისი მარადიული ცოცხლად შეჩერება, მოჩვენებითი გარინდვა, რომელიც უჩყვეტ ნაკადად მოედინება ნაწარმოებებიდან. მხოლოდ გენიებს ძალუბთ: ურთულესი და ამოუცნობი პროცესია სულის გამარადიულება (მაპატიოს უფალმა და სულის სიცოცხლის უსასრულობა დასაშვებია მხოლოდ გენიალურ ნაწარმოებებში იყოს. შესაძლებელია, მე ამ შემთხვევაში, კვერცხის ნაჟუჭში მჯდომი წინილას მაგვარი გახლდეთ). ავტორისეული სულის ინდივიდიდან შობილი. ყოველივე

ეს შედეგია ადამიანთა, ციურ სხეულებზე მზერით, განუწყვეტელი ოცნებით და მისკენ სწრაფვით, მთვარისაკენ, ვარსკვლავებისაკენ. ოდითგანვე, პლანეტებზე დაკვირვების შედეგად ეძებდა ადამიანი ღმერთს. პოეზიას, მუსიკას, მაღალ მხატვრულ ფორმას, ფერს და აზრს... პლანეტები იყო მისი, შორეულ სამყაროში გასვლის მიზანი და მის სამყაროსეულ რაობაში ჩაწვდომა. ადამიანმა როგორც კი დაიწყო აზროვნება, ის თავისი მშობლიური დედამიწით ვერ კმაყოფილდებოდა, განსაკუთრებით პოეტები, მწერლები, მეცნიერები, ფერმწერები და მოქანდაკეები. პოეტები კოსმოსთან უშუალო კონტაქტით და გავლენით ქმნიდნენ წმიდათაწმიდა პოეზიას; ვინც უბრალოდ, ვარდზეც რომ წერდა ლექსს, მისი პოეტური ვარდიც ზეცის სურნელოვანი ნამით იყო მოფენილი.

როგორც ზეციური კანონებიდან გამომდინარენი, უკლებლივ ყველა გენია მხოლოდ ამ გზით უნდა შობილიყო და მათ შორის ტერენტი გრანელიც. მამინ რას ერჩოდნენ თვითნაბად პოეტს, ის უდლეური თანამე-დროვენი, ანუ რას აყვედრიდნენ ამ ჭეშ-

მარიტად ლვთისშვილს და მაცხოვარივით ტანჯულს? აქ არის რაღაც უსასტიკესი მინიერი ეგოიზმი და ყოველგვარი დიადურის სიძულვილი, მდაბიური სწრაფვა მხოლოდ მიწის წიაღში მაჩვივით ყოფნისა.

დედამიწა თუმც ერთი წამითაც ვერ გაძლებს მის ირგვლივ არსებული პლანეტების გარეშე, მაგრამ ის მაინც დამოუკიდებლობის ოცნებით ტრიალებს სამყაროში მისთვის განკუთვნილ სივრცეში. კიდევ კარგი, ჩვენს პლანეტას უფლებამოსილება რომ არ ეძლევა სამყაროს უსასრულობაში ხეტიალისა, თუ არადა დაღუპავდა თავის თავს და პლანეტის სიცოცხლეს, რაც სამყაროში უნიკალურსა და ლვთიურ იშვიათობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ადამიანთა თითქმის უმეტესობა მიწიერებაზეა მიჯაჭვული. უხილავის ჩვეულებრივი ძალით, სრული მიწიერი ხასიათით და განწყობებით ატარებენ თავიანთ წუთისოფელს და დედამიწის მხოლოდ შვილებმა იმსხვერპლეს უფალი, მოციქულები, წმინდანები და გენიები...

სული ხომ მარად დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის და მაინც ჩვენს სხეულზე და

ზეძალაზეა ის მიჯაჭვული (ალბათ, უფრო ნაწილობრივ?); ხშირ შემთხვევაში ჩვენ თუ ვმართავთ სულს, ისევ და ისევ უზენაესის მეოხებით. სატანა გამუდმებით მცდელობაშია ნებისმიერ სულში შეაღწიოს. დაეუფლოს და თავის ნებაზე მართოს, სამწუხაროდ, ზოგ პიროვნებაში აღწევს ის თავის საწადელს.

მებრძოლი, ძლიერი, ღვთისნიერი, ყოველმხრივ განწმენდილი, ანგელოზური ბუნების და კოსმიურად დამოუკიდებელი სული მხოლოდ დიდ ადამიანებს და გენიებს გააჩნიათ: ამდაგვარი სულის მატარებელი გახლათ ტერენტი გრანელი.

მიწიერი და ტლანქი გონებისა იყვნენ მარქსისტები. მათმა დახშულმა გონებამ ვერ აიტანა ტერენტი გრანელის კოსმიური მძლავრი სული და საოცარი ნიჭი; ბოლო დროს ფიზიკურად ავადმყოფი და ყოველმხრივ დაუძლურებული მაინც არ დაინდეს და ბედშავს უმოწყალოდ ზედვე გადაუარეს.

ისევ სიამაყით მინდა მოვიხსენიო გივი ცქიტიშვილის წიგნი, მიძღვნილი დიდი მგოსნისადმი. „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების“

— ეს შესანიშნავი დოკუმენტური რომანი, ნათლად გვიხატავს პოეზიის ანგელოზის ადამიანურ ტრაგედიას. თუ როგორ იხრჩობიან უზნეო შურსა და სატანურ ბოლმაში მგოსნის მიმართ. ალბათ შიშით, თუ რამე დადებითი ათქმევინა ზოგიერთ მათგანს, მხოლოდ და მხოლოდ უმძაფრესი ნიჭის მქონე, მგოსნის შეუდარებელმა გენიამ. მარქსისტული იდეოლოგიით ნასაზრდოებთ პრინციპულად არ უნდოდათ იმის გაგება, რომ ხელოვნების მარადიულ და ღვთიურ ნაყოფს, მიწიერთან ერთად, პლანეტებით ნასაზრდოები გენიები ქმნიან...

შურდათ და შურთ მისი ურთულესი ფორმის სულიერი წვა, ტანჯვა, წამებაც, სიწმინდე და მაღალი ხელოვნების მიმართ მსხვერპლშეწირვით მარტვილობა. მოშურნენი ვერ იტანდნენ და ვერ იტანენ პოეტის წყაროსთვალივით კამკამა ლექსს, დიადი უბრალოების გვირგვინით შემკულს; ეშინოდათ და ეშინიათ მისი, კოსმიური უცხო სიდიადის შურდათ და შურთ. ერთი მხრივ, ამ დონის შური, სიძულვილი, მცირე მხრივ, გულწრფელი სიყვარული, დიდი აღიარება და უფორმო საშინელი შიში არც ერთი

დიდი მგოსნის მიმართ არ ყოფილა სრულიად საქართველოში, მაგრამ ყოველივე ამას ახლავს ოქროს უხილავი საფეხურები და ზესვლა წამებული, ტანჯული, ჯერ კიდევ დაუსაფლავებელი მგოსნისა, შიში საქვეყნოდ მისი სრული აღიარებისა და ამაღლებისა...

ამ თემაზე, ტერენტი გრანელის მიერ, ნინასნარ ნაგრძნობი ლექსად ნათქვამი პოეზიის ფორმულაც გვაქვს.

ვიცი დრო მოვა
ჩემი გაგების.
— და გარდუვალიცაა...

ისევ ბატონი გივი ცქიტიშვილის შესანიშნავ წიგნს დავუბრუნდები. ეს ნაწარმოები, ტერენტი გრანელის მიმართ დიდი სიყვარულის, აღიარების და მოფერების გარდა, ღია კარიბჭეა, პეტრე-პავლეს სა-საფლაოდან დიდუბის პანთეონისაკენ, შემდგომ მისი ჭეშმარიტი გზა მთაწმინდისაკენ. მთაწმინდის წმინდა სიმაღლეებიდან ტერენტი გრანელის პოეზია უფრო დიდ კავშირს დაამყარებს თავის მამა კოსმოსთან დაჩვენი ეპოქის ქართველი თანამედროვენი,

ვალმოხდილი დავრჩებით მისი ნაღდი პო-
ეტური პოეზიისადმი...

გაივლის საუკუნეები და მგოსნის ლექ-
სად ნააზრევი და კოსმიური სურათი,
რომელიც დიდი აბსტრაქციონისტების,
ვასილი კანდინსკის, ხუან მიროს და ტან-
გის დონეზეა მოხატული, დროთა სვლაში
მარტო ლექსად გაშიშვლდებიან. ნარსუ-
ლის შორეულ ბურუსში მიქრებიან, მგოს-
ნის საშინელი ბიოგრაფიის რეალური სუ-
რათები და დარჩება მხოლოდ პოეზია.
დიდი მგოსნის პოეზია ლექსად გაუჯდება
ერის და კაცობრიობის მთლიან ორგანიზმს,
მერმე, მისი პოეზია არავის არ შეაშინებს,
არავის შეშურდება და ტერენტი გრანელის
დიდ ხელოვნებას სამარადუამოდ მტერი არ
ეყოლება...

სევდიანიაო მისი პოეზია, მერე რა,
ზოგჯერ თუ გახსენებს სიკვდილის საში-
ნელ გარდუვალობას და შიშსაც გგვრის
თავისებურს, თითქოსდა შორეულს. აბა
გავიხსენოთ, ქეიფს გადაყოლილ რომის იმ-
პერატორს და მის დიდებულებს სტიქიურად
რომ შესძახებს მონა მსახური...

დიდებულნო! გახსოვდეთ სიკვდილი!
(memento mori!)

ორადორი სიტყვააა და რამხელა ტევა-
ფობის, როგორი მძაფრი და მარად დაუვი-
ნყარია მას მერმე განვლო ორი ათასმა
ნელმა, მაგრამ კვლავინდებურად ჩაგვესმის
ძლიერი და უცნაური მონის კოსმიური და
მარად გამაფრთხილებელი ხმა. საოცარსა
და დიდ გარემოში გაჟღერებულმა ჭეშ-
მარიტმა და თამამმა რეკვიემმა მარადი-
ულობაში ჭექა-ქუხილივით რომ გაიარა...

რომაელზე არანაკლებ საღად მოაზროვ-
ნე მგოსნის ამონაკვნესი კოსმიური სივრცის
მარადიულობაში, პოეზიის მაღალმხატვრუ-
ლი აზროვნებით, მკაფიოდ გაისმის, ტერენ-
ტი გრანელისეული, წმიდანური, სევდიანი,
მაგრამ მოციქულებრივი მართალი ხმაც...

მრავალჯერ შეიძლება წაკითხვა და ზე-
პირადაც განმეორება ამ დიდებული და ბო-
ლომდე მარად ამოუსხნელი სტრიქონებისა,
სადაც სამყაროში და თავის თავში ღრ-
მად ჩახედული ადამიანის კოსმიურ ხმათა
უმძაფრესი კივილია...

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არამედ რაღაც სხვა...

ამდაგვარი პოეზიის და მისი მძაფრი აზ-
როვნების მიმართ მუდმივად იქნება მსჯ-
ელობა, მრავალგზის აზრთა გამოთქმა და
უსაშველო დუმილიც...

განმეორებით ისევ წავიკითხოთ ლამეუ-
ლი, ნისლმოფენილი ჩვენი პლანეტის გა-
რეთ, გამავალი ხმა — აფორიზმები...

შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ.
ნმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე?
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

ჩვენ, ყოველი დროის ადამიანები, ბუ-
ნების მძიმე და მარადიული მოვლენების
მიმართ ძალიან ხშირად თვალს ვხუჭავთ,
რათა ავიცდინოთ ყოველდღიური სასო-
ნარკვეთილებანი. ტერენტი გრანელი ამ
ურთულეს საკითხსაც გმირულად უძლებს.
ებრძვის უცნაურ რეალობას, თვალს თვალ-
ში უსწორებს და საფრთხეშიც იგდებს

თავს, შემდგომ მძიმე და საშინელი გოდება
ლექსად აღმოხდება...

„სასოწარკვეთილებით ხელი აღაპყრო
ზეცისაკენ მგოსანმა და ყვედრებით წარ-
მოსთქვაო“.

წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე?
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია!

უკიდეგანო სივრცეა ამ სტრიქონებში;
შედევრის მიერი უბრალოება, ლაკონიუ-
რი, სხარტი და ყოვლისმომცველი აზრთა
მოცულობაა. გამჭვირვალე და ცისფერი,
უსასრულო სივრცეა, რომელიც გადას-
წვდა ადამიანის არსებობას შორეული
დროიდან მოყოლებული, მომავლის უსას-
რულობის გავლით. მიღიარდობით წლის
შემდეგაც ამ თითქმის ტრაგიკულ გოდებას
მწარედ იტყვიან თანდაყოლილი და მარა-
დიული მარტვილობის სიტყვებს სიკვდილის
კარამდე მისულნი... ამდაგვარი კოსმიური
პოეტური თემის გახსნა, თანაც ასეთი მაღა-
ლი დონით, თუ მუსიკალური სიღრმეებით

და მარტივ-მხატვრულად მხოლოდ გენიათ ძალუძთ...

ტერენტი გრანელი, როგორც დიდი გრძნობების პიროვნება, სიკვდილის ფორმას სულის კიდემდე განიცდის, მწარედ და მტკიცნეულად; მაგრამ ფიქრი იმისა, რომ მგოსანი სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული იყო, ამასაც ვერ ვიტყვით. რადგან თავისი უცნაური ბუნებით და სულიერებით სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა გამავალი კოსმიური ფენომენის არაჩვეულებრივი ბინადარი გახლდათ.

როგორც მოგახსენეთ, ყოველ ჭეშმარიტი მგოსნის შემოქმედებაში მაღალი მხატვრული მწარე სევდა უსაზღვრო როლს თამაშობს... სევდა მრავალნაირია, მრავალფეროვანია გენიალური ფერმწერის ვინსენტ ვან გოგის პეიზაჟებში, როგორც ლრუბლიანი, ასევე, მზიანი ამინდისას, ყველგან დიდი სევდაა ჩაღვენთილი, სადაც ჩვეულებრივ ადამიანურ სევდაზე უფრო კოსმიური, ყოველი ადამიანის სულის დამაგნიტებელი სევდა მოძრაობს, რომელსაც უცხო და საამო სურნელი ასდის. მარად მცხუნვარე მზის უსაზღვ-

რო ძალაც ხომ მელანქოლიურად სევდის მომგვრელია (ამის მაგალითი დედამიწაზე ძალიან ბევრია). ყოველი დიდი ხელოვანის ნაწარმოებში, ლირიკის, დრამის, ტრაგიზმის, რომანტიზმის, სიხარულის, იმედის და რაღაც სულ სხვა უცხო განწყობილებათა შენაზავი სევდაა ჩადებული. უსაზღვროდ მაღალმხატვრული გემოვნება, სტილის და ფორმის მოზღვავება თუ ყოველივე ამას ახლავს მკვეთრი ინდივიდი, ის უსათუოდ გენის ნაღვანთაგანია, თავისი ყოვლის-მომცველი შემოქმედებითი მაღალი სრულყოფილებით...

ამდაგვარი ცეცხლოვანი მოლურჯო, მოწითალო და მოისფრო ფერების კოს-მიურობებში გახვეული მგოსანია ტერენტი გრანელი...

უჩვეულო პოეტის სულიერი სამყარო იმდენად უცხოა, რომ თავად ზოგ ნიჭიერ პოეტს, მწერალს თუ ხელოვნების ყველა წარმომადგენელს უჭირს მისი შემოქმედების ბოლომდე გაგება თუ ჩაწვდომა. ღრმა კოსმიური სიმართლე, სამყაროში ადამიანთა ტრაგიკულობა, სიკვდილის მერმე მისი ბუნებაში გაქრობა არგაქრობის

მტკიცნეული პრობლემა თუ „რაღაც სხვა“ თავად მგოსნისათვის გამოუცნობი, უსახო და უხილავი შორეული ფორმულა იყო. ჭეშმარიტად აქაა მძაფრად მოაზროვნე პოეტის საოცარი და ჩვენთვის ჩაუწვდომელი კოსმიური წრიალი და უსასრულო სივრცეში ურთულესი მოგზაურობა. ყოველი გენიალური ხელოვნებაც ხომ კოსმოსთან მჯიდრო მიახლოებაა ყველა თვისებით.

ტერენტი თუ დიდი და გენიალური პოეტია, ის არავის, არაფერსაც არ ართმევს და არაფერშიც არ ეცილება. როგორც თავისი წილი ღმერთი ზის, ყოველ ღრმად მორწმუნე ადამიანებში, ასევე დამოუკიდებელი მართალი გენიაც ჩადებულია უზენაესისაგან ნებისმიერ დიდსა და ჭეშმარიტ შემოქმედთაგანში. დიდი ესპანელი მხატვარი სალვადორ დალი ტერენტი გრანელის პოეზიას რომ გასცნობოდა, ქართველი მგოსნის შემოქმედებითი მსოფლმხედველობა და პლანეტებისაკენ მისი მზერა უთუოდ მიიზიდავდა მხატვარს და ადვილი შესაძლებელია, პოეტის ლექსებით შთაგონებულს, კოსმოსსა და პლანეტებზე საოცარი სიურეალისტური სურათების სერიალიც შეექმნა.

ჩემს მშობლიურ სოფელ ძველ სენაკში, მოწმენდილსა და უმთვარო ცაზე ვარსკვლავთ სიმრავლეა საკვირველი. ერთხელ, შუალამისას, საგანგებოდ ავდექი, ოდა სახლის უკანა კარები მოვიხურე და ლია ცის ქვეშ გავედი ვარსკვლავებით სავსე ცის საყურებლად. საათობით მივჩერებოდი სამყაროს ულამაზესსა და შორეულში მრავალფერად მოციმციმე პანორამას. ვუყურებ ამ ვარსკვლავთა ციურ, უვნებელსა და თითქოს სტატიურ ლეგიონებს და ფანტაზია ფანტაზიას ენასკვება.

მიუხედავად ჩვენგან მათი უსაშველო სიშორისა, მაინც იგრძნობა პლანეტათა კოსმიური მარულა, მათი უზომო სიმრავლე, წარმოდგენით თუ მივალთ რომელიმე პლანეტასთან და იქიდან გავხედავთ ცის სივრცეს ჩვენს ირგვლივ იგივე სურათი იხატება ალბათ, როგორც ჩვენგან, დედამიწიდან. ესე იგი პლანეტათა უსაშველო სიშორეები და თითოეულად მათი კოსმიური და სევდიანი განმარტოებაა, და ისევ და ისევ, სხვა პლანეტიდანაც იგივე სურათი გამოჩენდება და ასე უსასრულოდ გრძელდება უთუოდ...

ვუმზერ უნიკალური ხახულის ყოვლად-ნმიდა ღვთისმშობლის ხატივით ვარსკვ-ლავებით მოჭედილ ცას და ვამჩნევ, რაც დრო გადის, უსასრულო ცის გუმბათის მრავალფერადი პლანეტებით სავსე სივრცე, კოსმიურად ღელავს, ისმის მათი შორეული და საკვირველი უბგერო ხმა — და ჩნდება პლანეტათა ნათესავი პლანეტები. მათი ფანტასტიურად უშორესი დაშორიშორება და სამყაროს უკიდეგანო ბნელი სიღრმე... ზეცის კოსმიური დინამიკა თითქოსდა ჩვენთვის უმნიშვნელოა. მაგრამ ვარსკვლავეთის სამყაროს თავისი უდიდესი შინაგანი ძალით უღრმესი და ურთულესია. ცაზე ულამაზეს სამკაულებად შეყრილი სურათი; შეუდარებელი მუსიკალური ორკესტრია სამყაროსი, და უსასრულოდ მიჰყავს მას დიდი კოსმიური სიმფონია. დაუსრულებლად შეიძლება მათი მოსმენა და ყურება, რომელიც დაგაავადებს უკმარისობის გრძნობით, მიუღწევლობის, მიუწვდომლობის, შორეულის და საშინელი სიშორის სენით. ამ დროს სული ანიოკდება, აინენება, მაგრამ ის ხომ ჯერჯერობით ჩამწყვდეულია ხორციელ სამყაროში და... ამასობაში

კოსმიურ ჯადო-მიზიდულობის არეალში ვექცევი და სულიერად აფორიაქებულს მინ-და უფრო და უფრო ცის სიღრმისკენ შეღ-ნევა; თან აშკარად ვგრძნობ, თუ როგორ ვკარგავ ფიზიკურ წონადობას და მინის-გან მოწყვეტას ვიწყებ. იქ, ზევით, სადღაც შორს, მარტოხელა სევდიანი პლანეტები ოდნავ ანათებენ ძნელად გასარჩევი წი-თელი-ყვითელი ფერებით... ამდაგვარ ვარ-სკვლავთ სავსე უკიდეგანო ცაზე. მივაგენი ერთ-ერთ მცირე ზომის ბნელ, უსასრულო ხვრელს და ვუმზერ დაჟინებით თვალთაგან ცრემლის დენამდე და უცნაური სიღრმიდან ოდნავის ნათება იწყება. სრულიად პატარა და შორეული ვარსკვლავის გამოსახულება, თითქოსდა უმნიშვნელოდ წარმოუდგენელი სამყაროს სიშორიდან ინახება, ხან მიქრე-ბა და სამყაროს უსაშველო ბნელში ერ-თიანდება... ამასობაში ცის გუმბათზე მო-სეირნე, ძლიერი და მკაფიოდ მოკაშვაშე ვარსკვლავების მზერის სურვილი არცა მაქვს, ამ ძალიან შორეული ცის სიღრმი-დან ნაზად მზირალი ვარსკვლავის ცქერით კი არ ვიღლები, პირიქით, უფრო და უფრო მიზიდავს და მისდამი ბოლომდე შეუცნობა-

დი სიბრალულით ვივსები მისი ასე შორეული განმარტოებით ყოფნის გამო არამინიერად ვაზროვნებ, ანუ, ძველი კოლხური კოსმიური წარმოდგენები და მისტერიები ამოტივტივდა ჩემში ძალიან შორეული წარმართული, ბნელი, არქაული გალერეებიდან და ვფიქრობ, ვინიცობაა ის იყოს ტერენტი გრანელის ვარსკვლავი, სადაც მგოსნის „არამედ რაღაც სხვა“, იმ ვარსკვლავში მოიძიება. ჩემს თავს ვარწმუნებ რომ იმ უშორეულეს ვარსკვლავშია უთუოდ გრანელის კოსმიური გენი... და სრულიად უცხო სევდით ვივსები ამ მცირედი პლანეტის თუ... ასე საშინლად სიშორის და მარად, ყოველმხრივ მიუწვდომელი, ჩვენგან, დაშორების გამოც... ტერენტი გრანელის ოდნავ მბჟუტავი სამყაროსფერი პლანეტის, ცის ვარსკვლავეთის სიღრმიდან, მისი მცირედად მაინც გაუთვითცნობიერებელი საცოდავობის და უსაშინლესი მიუკარებლობის შედეგად, ტანთ ურუანტელი მივლის და მალარიით შეპყრობილივით ვცახ-ცახებ... და ფიქრფუსფუსი მეწყება, ნუთუ ასე შორეულ კოსმოსში წახვედი ტერენტი?!! და რატომ? აგრე თავზარდამცემი

სიშორით განეშორე, მარტო დედამიწას კი არა, მზეს, მთვარეს და მზის სხვა თანამგზავრებსაც, რატომ? პლანეტების მგოსანო, რატომ მოიტოვე უთვალავი, გამეხებული და ცეცხლისმფრქვეველი ვარსკვლავები, და ასე შორს, ცის ვარსკვლავეთის სიღრმეებში მიიკარგე. ტერენტი! ნუთუ, ამდაგვარ უცნაურ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანეს გაბოროტებულმა დედამიწელებმა?..

მხოლოდ მგოსანმა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება საკუთარ აბობოქრებულ სულში კოსმიური მოგზაურობით განვლო და მძიმე ტრაგიზმით დაამთავრა. ტერენტი გრანელმა ცეცხლმოკიდებული მეტეორივით გადაუქროლა სიკვდილ-სიცოცხლის პლანეტას და სივრცისა და დროის უსასრულობას გაუმთლიანდა, ძალიან მოკლე იყო პოეტის მწარე და ტანჯული სტუმრიანობა დედამიწაზე.

ორი ათას სამ წელს, პარიზში გახლდით შემოქმედებითი მიწვევით, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში. ტერენტი გრანელის სამყაროსფერი პოეზია იქაც ხშირად მომგონებია, რადგან ის საერთო სევდა და ხელოვანისმიერი პესიმიზმი ყველგან

დაგსდევს ადამიანს და ყოველთვის ჩა-
გისახლდება თავისებური ფერით — ფორ-
მით და განწყობილებით. პარიზი, ამ მხრივ
სულ სხვანაირად გამოიყურება, თითქოსდა
ზეციური სევდაც, ქალაქში შუალამის მთის
ნისლივით ჩამონალილა და ყოველ კუნ-
ჭულშიც მჭიდროდ შეჭრილა, თავისი ია-
ია და ცისფერის განათებით. პარიზში იმ
ნელს უმძიმესი ზაფხული იდგა, ღვთის
განგებით აგვისტოს სულთამხუთავმა სიცხ-
ებმა გადაიარა და აფრიკის მიმართულე-
ბით გაუდგა გზას... დილის საათებში, სანამ
მდინარე სენის სანაპიროზე პეიზაჟის სახ-
ატავად გავიდოდი, ჩემი ატელიეს ადგილო-
ბრივმა ტელეფონმა დაინკრიალა. საქართ-
ველოს საელჩოდან ბატონი ელჩის პირადი
მდივანი, მშვენიერი მაიკო მირეკავდა. ბა-
ტონო რეზო, ხვალ სალამოს ექვს საათზე
პომპიდუს ცენტრში შეხვედრაა პოეტ რეზო
ამაშუკელთანო: გთხოვთ დღეს საელჩოში
მობრძანდეთ და თქვენი მოსაწვევი ბარა-
თი მიიღოთ... ძალიან გამეხარდა. ბატონი
რეზოს პოეზიის სალამოზე უამრავი პარი-
ზელი მოვიდა, როგორც ფრანგი ინტელი-
გენციის ნარმომადგენლები, ასევე ქარ-

თულ-რუსული დიასპორისა და საქართველოდან ჩამოსული საპატიო სტუმრები.

დაიწყო ქართული პოეზიის ჯადოასხმული საღამო და პოეზიის კოსმიური და ჯადოსნური ალი აენთო ლეგენდარული პომპიდუს თეატრალური ცენტრის სცენაზე — (ეს ყველაფერი ხდებოდა მოდერნისტული ხელოვნების მუზეუმის წინ, მოხეტიალე მხატვრების მოედნის გაღმა...) — უნაკლო ქართული თარგმანით, მთლიანი ტექსტი, თავისი არტისტული მომხიბვლელობით შესანიშნავად მიჰყავდა მრავალმხრივ ნიჭიერ პიროვნებას ბატონ ვლადიმერ ზარიძეს. მაღალი პროფესიონალიზმით და ხალასი მიდგომით კითხულობდა ბატონი რეზოს შემოქმედებაზე შედგენილ სცენარს ფრანგი მსახიობი, ზოგადად, შეეხო ქართული პოეზიის ხიბლს, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილს და გალაკტიონ ტაბიძეს. მათ გვერდით დარბაზში გაისმა ტერენტი გრანელის სახელი და გვარი. მოულოდნელობისაგან სიხარულით ავენთე, რადგან პარიზში, პომპიდუს მუზეუმის წინ, მაღალი ელიტის, თეატრალურ სამყაროში ფრანგი მსახიობი პატივით იხსენიებდა

თავის თანამედროვეთაგან წამებულ მგო-
სანს — ტერენტი გრანელს... აფორიაქდა
ჩემი სევდანარევი ფიქრი და ოცნება, მალე
მოვა ნანატრი დრო, როდესაც ტერენტის
ლექსთა კრებულის ფრანგული თარგმანიც
გამოჩენდება პარიზში და მაშინ გრანელის
ახალი დაბადება იქნება მაღალი პოეზიის
სამყაროში...

მერმე, ბატონი რეზო ამაშუკელი შეს-
ანიშნავი მხატვრული სიტყვით წარსდგა,
პოეზიის მოყვარული, ხალხით სავსე დარბა-
ზის წინაშე და გაისმა ქართული ბაჯალლო
ლექსი. მქუხარე ომახიანი ხმით მოჩევდა
საუკუნის დიდებული პოეზია და სიამაყით
ვივსებოდი თითქოსდა ჩემი ფერწერული
სურათების პერსონალური გამოფენა მიმ-
დინარეობდა პარიზის რომელიმე პრესტი-
ულ გალერეაში. ასე ამაღლებულად გან-
ვიცადე ბატონი რეზოს უაღრესად ნიჭიერი
ლექსის სულად მოფენა პარიზის ერთ-ერთ
მშვენიერ თეატრალურ დარბაზში...

— ნებისმიერი გენია, თავისი ზეცი-
ური ნიჭით, შინაგანი და გარე სამყაროს
განუსაზღვრელი ზომითა და სხვადასხვა
ახალ-ახალი ფორმით სრულყოფილად აღ-

ქმის, შეგრძნების და მაღალ მხატვრულად გამოხატვის მქონეა. მათში ყოველგვარი მიწიერი და კოსმიური სიყვარული სულის უმძაფრეს ტკივილამდისაა გამთლიანებული და ყოველი მათგანის ბუნებაში ერთი მისხალიც არაა შეუგრძნობადისა და უემოციობისა...

„და გადიან ეს დღეები წმინდა,
დაბერება ხომ მოელის მზესაც“.
„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

ეს პანაწყინტელა ლექსი, კოსმიური სევ-დის გარდა, დიდი იმედი და სულის მკურნალია, მაგნიტური ველის უკიდეგანო ელვარებაა...

ზოგ შემთხვევაში, როგორც მომაწვება ხოლმე სევდა პირადი შემოქმედების მიმართ და უკმარისობის გრძნობა, მაშინვე მომაგონდება ტერენტის ეს ფრიად კამერული ლექსი. უმაღ დადებითი მუხტით ვივსები და სიცოცხლის ცისფერ სივრცეს ვუმთლიანდები; ცისფერი სივრცე განსაკუთრებით მაშინაა დადებითი ენერგიით

სავსე, როდესაც ის მზის ნათელი და ყვითელი ფერებითაა გაჯერებული...

ამ ლექსის შინაგანი სურათული ფორმა თითქოსდა ხუან მიროს ტილოების ხასხასა ლურჯი გამის კოლორიტითაა გაჟღენ-თილი.

ლექსის განწყობილება? რა ნაზია, ციურია, როგორი კოსმიური ფერებითაა მოხატული (კოსმოსისაგან დედამიწა და მისი ყოველი შემადგენელი ნანილი, ერთი წამითაც არაა გათიშული და ის, მისი მარა-დიულობის და მთლიანობის ორგანული სხეულია). ანუ შორეული, ცივილიზაციათა ხელოვნების შედევრებს თუ შევადარებთ, წმიდათა წმიდა, ძველი სპარსული მინ-იატურის პარალელია; რომელიმე დიდი იაპონელი მგოსნის ბაჯაღლო ოქროს დოქი-დან გადმოღვრილ ღვთიურ სითხესავითაა, მშვენიერების და უბრალოების ჯანსაღი სახეა; კეთილი სულია, ცხოვრებისეული სიმართლეა ჯვარცმული იესოს დედამი-წის გამოთხოვებასა და სამოთხეში გა-დაბრძანებისას. უფლის თვალთაგან ბოლო წუთებში ჩამონამული ცრემლივითაა.

ნიკო ფიროსმანაშვილის სააღდგომო
ბატქნის ფერწერულ სურათს არ გაგ-
ონებთ? სეზანის მცირე ზომის სურათები-
ვითაა, რომელიც კაშაპაშა მზის და ტბის
სანაპიროს გამოხატავენ, მათსავით მთის
წყარო ანკარაა, ცისფერებით არეკლილი.
ვინსენტ ვან გოგის სურათივითაა, უშუა-
ლობით სავსე...

ლექსის ეშხი? მწიფე ყურძნის მტევნის
ბოლო მარცვალზე დაკიდული ალიონის ნა-
მივით არ ალმასობს?!

მეც დავწერდიო, ნებისმიერი პოეტი იტყ-
ვის. ასეა ფიროსმანაშვილის სურათებზეც,
მეც დავხატავდიო, იტყვის მხატვარი. ნაღ-
დი სულიერი ნაწარმოები იმდენად შენეუ-
ლია, ბუნებრივია გათქმევინებს მეც დავხ-
ატავდიო, მეც დავწერდიო...

ურთულესია სულის დახატვა და მისი
სიცოცხლის ჩასახვა ნებისმიერ ნაწარმოე-
ბში.

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“

მისი ჯანსაღი სხეული, სისხლსავსე მო-
ცისფრო კაპილარებივითაა სავსე, საიდანაც
კოსმიური იისფერ-ცისფერებში უსაზღვრო
სევდაც მოჟონავს, რომელიც ქვეყნიერების
განმანათლებელი ყრმის თვალითაა დანახუ-
ლი, ერთი ხელით რომ ღვთიურად ეფერება
უნაზეს წმიდა ყელს, მეორე ჩვენსკენ აქვს
გამოწვდილი მარადიულ „იმედად“. აი, ამ
ხატ-სურათის განწყობილებაცაა აქ... და
ისევ:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“

შედევრის უფრო დიდი სიმარტივე იშვია-
თობაა. ალბათ იაპონურ, სპარსულ, ჩინურ
და ფრანგულ პოეზიაში თუ მოიხილება,
ამდაგვარი ლექსის საამო ჰარმონია და
პოეტური სინატიფე. აქ პოეზიის საერთა-
შორისო ფორმულათაგანია ლექსის უხი-
ლავი სხეული. ციმციმებენ იქ ცისფერები,
ია-იასფერები, პატიოსანი ვერცხლისფერე-
ბი, შინდისფერები, ჩალისფერები და შავი
ფერის წინწკლებითაა შემკული ლექსის
უნაზესი სხეული. აბა, კარგად მიაყურა-

დეთ ლექსის შინაგან მუსიკას; ასეთ კოს-მიურ ბგერებს, ალბათ მთავარანგელოზის გაფრენისას მისი უნაზესი ფრთათა რხევა თუ ტოვებს.

რასაც მე აქ ვაცხადებ, მხოლოდ ჩემი ნაფიქრალი არ გახლავთ. ბევრს აქვს შენიშნული და საღად გააზრებული, რომ არსებობს ხელოვანთა შორის ორი ჯგუფი: პირველი მათგანი ის გახლავთ, რომელთა ავტორიტეტი მრავალი ჯილდოთი და პრემიითაა დახუნძლული, ხოლო მათი ნაწარმოები, სისხლნაკლული და ძლივს მსუნთქავი სხეულისაა: აქედან გამომ-დინარე შრომის ნაყოფი? დუნდება და უინტერესო ხდება. ასეთი ნამუშევრები საზოგადოებისაგან დაუცველია და დროთა უამში თავისთავად ნადგურდება — მერმე იტყვიან, დროს ვერ გაუძლოო და, მათდა საბედისწეროდ, განაჩენიც ჭეშმარიტია...

ხოლო ნებისმიერი მაღალმხატვრული ხე-ლოვნების ნაწარმოები, რომელიც ზეციური და მიწიერი მადლითაა სავსე, ულმობელ დროსთან მედგრად მორკინალი და მარად გამარჯვებულია. ასეთ ხელოვანთა ჯგუფს წარმოადგენს მრავალი და მრავალი; ამ-

ჯერად, მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებდ: ესენი გახლავთ ვინსენტ ვან გოგი, გოგენი, რემბრანდტი, ამადეო მოდილიანი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ტანჯული გრიგოლ რობაქიძე, განწირული ტიციან ტაბიძე, უცნობი ნიკო სამადაშვილი, შენირული ლადო ასათიანი, კონსტანტინე გამსახურდია და ნამებული ტერენტი გრანელი.

ტერენტი გრანელის შექმნილი ლექსიპორტრეტი „ნიკო ფიროსმანაშვილზე“ ხომ საოცრებაა ლექსთა შორის; მგოსნის თანამედროვე და მისივე ბედის თანაზიარ მხატვარ ფერმწერზე, უსაზღვროდ, ღრმად ნაგრძნობი, განცდილი და შინაგანი ელექტრონული მუხტით დაწერილი ლექსი, მხოლოდ და მხოლოდ ნიკო ფიროსმანაშვილის დონის და კატეგორიის მგოსანს შეეძლო... უფრო ღრმად ნაგრძნობი და მხატვრის გენიაში ასე სრულყოფილად ჩახედვა, მისი თავისებურად და სრული ინდივიდით ლექს-ქანდაკებად ჩამოსხმა იშვიათობაა პოეტთა შორის...

ტერენტი გრანელით აღტაცებულს, მე მხოლოდ სულად ქცეულს და ცად ატყორცნილს სად მივაწყდე ან რომელ გენიათა

საოცრება-შედევრს შევადარო, რათა მისი
შედევრი შეძლებისდაგვარად გავშალო
და ლექსის სიღრმეებში უფრო და უფრო
ჩავიხედო; ამდაგვარ, ზეატაცებულ სულიერ
მდგომარეობას სწრაფი მოგონებებით მიყვა-
ავარ პარიზში, ფრანგი გენიალური მოქა-
ნდაკის ანტუან ბურდელის მუზეუმისაკენ,
სადაც ერთ-ერთ დარბაზში გამოფენილია
ლუდვიგ ბეთოვენის პორტრეტების სერი-
ალი, მათი დონე და სიდიადე ენით აღუ-
ნერელი შთაბეჭდილებაა, საოცრებაა...

აი, ამდაგვარი დიდი სულიერი ძალაა ჩა-
დუღაბებული ტერენტის გენიალურ ლექსში
„ფიროსმანაშვილი“. ამ ლექსით ტერენტი
გრანელი მსოფლიოს პოეზიის შედევრთა
გალერეაშია ექსპონირებული... ტერენტის
„ფიროსმანაშვილი“ ისევე მარადიულია და
უკვდავი, როგორც თავად ნიკო ფიროს-
მანაშვილის მხატვრობა...

ერთხელ კიდევ წავიკითხოთ ეს ცოცხა-
ლი სულით სავსე ლექსი და მჭიდროდ მი-
ვუახლოვდეთ ტერენტი გრანელს.

შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის
რაზებით,

ყალბი არღნებით გაწუხებდა ღამე
ნვიმაში,
არ კადრულობდი შებრალებას ბედის
ნინაშე,
დაგდევდა ლანდი, მთვარისაგან გა
ნაპრაზები.
ჩუმად გენვია საოცრების რუხი
ხაზები,
ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის
მინაში,
შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა
ბინაში
და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის
თასებით.
ლოცვით ამსხვრევდი ზიარებას
სასაფლაოზე,
სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის
არმაზი,
ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ
გაოცებს.
შენი ოცნება ისვენებდა წითელ
ნარმაზე,
ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის
ამარა,
საშინელებამ უცნაურად დაგასამარა.

ნიკო ფიროსმანაშვილის, ვიმეორებ,
ზეციურ სიმაღლეებზე მისვლა მხოლოდ და
მხოლოდ ტერენტი გრანელივით ანგელოზის
სულის და სიწმინდის მგოსანს შეეძლო...

ორივე გენიაა, წმინდანებია კოსმიურ
სივრცეში... ვიყოთ ძლიერნი, მართალნი და
ნუ შეგვაშინებს მათი ნიჭის და ზეციურო-
ბის უსასრულობა: უჩვენოდაც ხომ ისინი
უფალთან მარადიულობაში არსებობენ...

როგორც ყველა საფლავი სდუმს, ასევეა,
რა თქმა უნდა, ტერენტის საფლავიც მარა-
დიულ დუმილშია ჩაძირული, მაგრამ არა!..
ის ჩვენს, ამ საკვირველ დროშიც აფორი-
აქებულია, მოუსვენარია. მისი საფლავის
გარემოში კოსმიური მოძრაობაა აწრიალე-
ბული და აწენილი. სულიერი უკმარისობაა,
სადაც უსაშველო ობლობაა და ყოვლისმომ-
ცველი მთლიანობის შემანარჩუნებელი მთა-
ვარი რგოლიც საცოდავად ამოვარდნილია
და მგოსნის სულის უსასრულო ძიებით
ხეტიალია; ტერენტი გრანელის წამებული
ძვლების საშინელი სევდაა ყველგან; ჩვენ-
თან, თქვენთან და...

მისი ქვითკირად ქცეული ძვლები დღე-
ნიადაგ ელოდება იმ ტრიუმფალურ სი-

მაღლეს და პოეზიის ანგელოზთა სავანეს, რომელსაც ჰქვია „ქართული მთაწმინდა“; და მერმე დაივანებს ის წმიდა დავით გარეჯელის პირველადი წმიდათა-წმიდა მღვიმედ, ან სული მისი გაფრინდება იქ, რომელი ცის უსასრულობისაკენ თავად ოცნებობდა. მერმე დაიწყება კოსმიურ სივრცეში მგოსნის პლანეტებს შუა უნყვეტი თანამგზავრობა და მარადიულად ლექსთ მოფენა...

შუალამისას, ვარსკვლავები რიგრიგად ჩამობრძანებულან ზეციდან მიწამდე: ია-იებად ქცეული, ტერენტის სული კონებად დაუკრეფიათ და ზეცად აუტაცნიათ, ყოველ ვარსკვლავიან უმთვარო ლამეს ასე მეორ-დებაო უსასრულოდ.

რეზო ემელიანე ადამია

ციხის ელეგია

ლამეა, ცაზე ვარსკვლავი ერთი,
მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს.
ეს ჩემი სული — ლანდია ლმერთის,
ეს ჩემი გრძნობა — გრიგალი მძიმე.

მე მაშინ მოველ — მზე ანთებული,
როცა მოქროდენ ხმები სხვა ზარის.
როცა საღამო დამშვიდებული
იდგა სივრცეში ლურჯი ზღვასავით.

ჩემი ცხოვრების საგანი გახდა:
გლოვა, დუმილი, და გაწვალება
და ვფიქრობ: სადღაც უხილავ ბალთან
დღეს ჩაიარეს უცნობ ქალებმა.

აქაც ჩემს ახლო სხვები დადიან,
ვიღაცა მიყავს, და გარბის ეტლი
ეხლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია,
რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი.

მორჩა, ქუჩაში ვერ გამოვჩნდები,
თბილისი დარჩა თვალების გარეთ,

სადღაც ყეფს ძალი დროგამოშვებით,
და საცოდავათ კიდია მთვარე.

რა ვქნა, ვერ უძლებ ამნაირ წამებს,
და იმედისთვის არ მყოფნის ძალა,
და ვარსკვლავების მზიდველი ღამე
მძიმე ქვასავით ეცემა ქალაქს.

ექსპურსია ცისკენ

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე;
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

იქ უხილავი მხარე მიცდიდა,
და ნიალისნი უსაზღვრო სივრცე;
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

იმ პლანეტებზე ფიქრი მიმძიმდა,
და გაგიჟებას ველოდი ისევ.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ...

ვანო სარაჭიშვილს

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
შეწყდა შრიალი და მისტერია.
ვანო! ალსრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!“

და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,
წამია გლოვის, ცრემლების გარდა.
ქართულ სცენაზე მძიმე ლამეა,
ქართული სცენა დამგლოვიარდა.

შენ გადაფრინდი სინათლის იქით,
რომ მხოლოდ ნისლი იყოს კარავი.
და გვირგვინების მწუხარე რიგი
ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ.

დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ
ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი.
სამწუხაროა, რომ ასე გაჰქრა
შენი ხმა: ცეცხლი და ურუანტელი.

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
თვალები მაინც შენ გიცქერიან.
ვანო! ალსრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!“

მიცვალებულის დღიურიზან

(თემა სიკვდილის შემდეგ)

შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ,
სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით.
მე წუხელ მოვკვდი შუაღამეზე,
როდესაც კრთოდენ ცის ვარსკვლავები.

დაბნელდა სივრცე, დაბნელდა ბინა,
დამგლოვიარდენ სახლის მინებიც.
მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა,
მოქონდათ ვარდი, და გვირგვინები.

ალბად ჩემ სიკვდილს გრძნობდა
სოფელიც.
(ვერ დავბრუნდები მე ბურუსიდან).
მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი,
ღია სამარე ჩემ გულს უცდიდა.

და ეცემოდენ სადღაც წვიმები,
შორეულ ღრუბლის სანაპიროდან.
კუბოსთან იდგენ სერაფიმები,
და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა.

არც შორეული დების ლოცვები,
ჩემს გადარჩენას ხელს არ უწყობდა.
მიმასვენებდენ ანგელოსები,
და კუბოს ქრისტე წინ მიუძღვდა.

სიკვდილის შეაძლება

დადგება ზამთარი...
მოვკვდები ლამით, გათენებისას, როდე-
საც გარეთ
იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე
და ყინვა.
სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის
ლამეები
და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთე-
ბული კოცონი,
რომელიც მწვავდა მე ყოველთვის...

ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მო-
გონების წამები.
გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხე-
ლებს.

ჩემი წამებული სხეული შეუერთდება
მსოფლიო ელემენტებს.

და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას.

ჩემი კუბო იქნება სადა

და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავებენ შუადლის ორ საა-
თზე თბილისის ახლო.

ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფე-
რადი ღრუბლები და

ამოვარდება შორეული გრიგალი.

ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს
ცხედარს, იქნება

თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს
გადამიხდის ვინმე

უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნე-
ბა წაკითხული

ჩემი სისხლიანი წიგნი „Memento mori“ არ
შევეცოდები

მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება
ჩემი დაფერფლილი

სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან
მდგომ პოეტებს

მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსები-
დან: სტრიქონები.

მოვა უიმედობა.

პანაშვიდი გათავდება ქარში.

ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში.

და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში

მესაფლავე.

კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი

მიწის და ქვების.

პროცესია დაიშლება.

მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო.

გზაში ისაუბრებენ ჩემზე.

დალამდება...

მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე, ღამით.

დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან,

და გიჟივით ვიკივლებ, რომ მომეშველონ, რომ დამიღარონ.

არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, თავს

ვიგრძნობ სამარეში და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს.

ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი

და — სიჩუმე.

თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა.

ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაე-მსგავსება უდაბნოს.

გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით.

დადგებიან გაზაფხულის დღეები.

შეიფოთლება სასაფლაო.

კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის

გაიღება ეკლესიის კარები, ჩემს საფლა-ვთან

დაფიქრებული

მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამ-წვარ სახეს,

მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცო-დები.

ასე გაივლიან საუკუნეები.

ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის.

ჩემს მიერ უხილავ საღამოს ბინდი და-ფარავს

მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.

წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე

დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავი

წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ
ნამოიზრდება

ბალახი.

ზაფხულში, საღამო დროს, ჩემს საფლა-
ვს ჩაუვლიან

თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს,
სარკესთან

უცნობი თითები დაუკრავენ როიალს.

დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ
ორთქმავლები.

მოვა კვირადლე და ჩემს ახლოს დარე-
კავენ

ზარებს, აანთებენ სანთლებს.

დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცვე-
ლები.

წირვა გათავდება.

საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვ-
დეულ ტუსალებივით

დარჩებიან შიგ. და სასაფლაოს ჩხავილ-
ით გადაუფრენს

ყვავი.

გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა
თბილისის

ღამეები მძიმე ლოდებივით.

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი
იქნება ჩემი უნაზესი და — სიჩუმე.

შინაარსი

| | |
|---|----|
| წინათქმა | 3 |
| „ტერენტი გრანელში ზეციური სახე და სულის კოსმიერი კულტურაა“ | 7 |
| ვედრება უფალთან | 26 |
| მე და გალაკტიონი | 27 |
| * * * | 28 |
| ზამთრის მოახლოვება | 29 |
| გულიდან სისხლის წვეთები | 30 |
| გაზაფხულის საღამო | 33 |
| მგოსანში კოსმიური ფეთქვა და სულიერი ნგრევაა | 34 |
| ლამის მოუსვენრობა | 47 |
| * * * | 48 |
| * * * | 49 |
| Marguerite | 50 |

| | |
|---------------------------------|-----|
| ლამის მოუსვენრობა | 51 |
| * * * | 52 |
| ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა | |
| და ტკივილად წასვლა..... | 56 |
| ციხის ელეგია..... | 108 |
| ექსკურსია ცისკენ..... | 110 |
| ვანო სარაჯიშვილს | 111 |
| მიცვალებულის დღიურიდან | 112 |
| სიკვდილის შემდეგ..... | 113 |

საგამომცემლო ჯგუფი
ლაშა გადელია
მართა წიკლაური
ილია ხელაია

გამომცემლის ინფორმაციი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17ბ
ტელ.: 25-05-22, 91-22-83, 8 (99) 55-66-54
ფაქსი: 91-22-83.
inteleqt@caucasus.net